# საქართველოს რესპუბლიკა




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.





დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 7 აგვისტო, 2009 წელი.

№ 156 (6257)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




## მე რომ გორელებისა ვიყო, ეგ ვიღაც ლადარიაა, ყურებს ავახევდი...

ცოცხალი სტალინი რომ ბევრს ჰგვრიდა ელეთმელეთს, გასაგებია, მაგრამ მკვდარიც რომ თავზარსა სცემს ბევრ ვითომც „ახალ თარგზე გამოჭრილს“, არც ეს არის გაუგებარი

3

საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი...



3

## შარშან აგვისტოს ომში დაღუპულნი და დაკარგულნი

## სამგლე მოჯეებივით ატეხილები

2



## აგვისტოს დღეების რეფლექსია არქიტექტორის თვალით

9

## თბილისს და მოსკოვს ევროპა და ისტორია განსჯის

8



## კახა ნაჭყებიამ გვასახელა

10

ვიცხოვროთ ერთად... ცალ-ცალკე

6

## აფხაზთა ქვეყანა

№ 156. პარასკევი, 7 აგვისტო, 2009 წელი.

# ვინა თქვა, პრეზიდენტი გაზეთებს არ კითხულობსო?



აგერ, ბატონო, როგორც იტყვიან, ყურთაგლეჯა აქვთ ოპოზიციასა და ხელისუფლებას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე"!..

ჩანს, პრეზიდენტმა ჯიხურში ვერ მიუსწრო ჩვენს გაზეთს და ეკა ბესელიას მიერ ნაყიდ გაზეთში იჭყიტება.

ასე რომ ჯიხურში ძებნას გაზეთზე ხელმოწერა ნამდვილად სჯობს. მით უმეტეს, თვეში სულ ათ ლარს გადაიხდით და დილაადრიან შინ მოგართმევენ გაზეთის ცხელ-ცხელ ნომერს...

იმედია ის სახელმწიფო მოხელე, რომელიც, პრეზიდენტს მიბაძავს, აქამდე სათოფეზე არ ეკარებოდა პრესას, დღეიდან, ისევ პრეზიდენტის მიბაძვით, არა მარტო დაიწყებს გაზეთების კითხვას, არამედ გამოიწერს კიდეც ჩვენს გაზეთს, თანაც არა ერთი თვით, რასაც თავის თავს არ აკადრებს, არამედ მთელი ერთი წლით.

## ინფორმაცია

### მოაწერენ კი ხელს თავდაუსხმელობის აქტს?

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი ანდრეი ნესტერენკო აცხადებს, რომ თბილისმა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას უნდა მოაწეროს ხელი. ეს განცხადება ნესტერენკომ გუშინ მოსკოვში გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.

მისივე თქმით, ამ რესპუბლიკების მოსახლეობისათვის მთავარ პრობლემად რევანშის პოლიტიკა და საქართველოს მხრიდან ძალისმიერი მეთოდების რეციდივების პერსპექტივა რჩება.

### საქართველოს იარაღის მიწოდება უნდა შეუწყვიტონ

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი ანდრეი ნესტერენკო აცხადებს, რომ ყველა ქვეყანამ საქართველოსათვის ნებისმიერი სახის იარაღის მიწოდებაზე უარი უნდა თქვას იმისათვის რათა საქართველომ აგრესია ხელახლა არ განახორციელოს.

ნესტერენკო ასევე აცხადებს, რომ საქართველოსთვის საზღვარგარეთიდან იარაღის მიწოდებამ საქართველოს ხელისუფლებას "დაუსჯელობის სინდრომი" განუვითარა.

ჯი-ეიჩ-ენი

## SIC!

### ბურჯანაძის პროტესტი

**„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს" ლიდერი ნინო ბურჯანაძე უშიშროების საბჭოს გაფართოებულ სხდომაში მონაწილეობას არ მიიღებს.**

ეს არის სააკაშვილის მიერ დადგმული მორიგი შოუ – მე ძალიან კარგად ვიცი, რა ტიპის უშიშროების სხდომებს ატარებს, რისთვის ატარებს და რა შეიძლება იყოს ამ სხდომის შედეგი. ავტორიტარული რეჟიმის პირობებში, უშიშროების საბჭო არის ფიქტიური ორგანო და გადაწყვეტილება მიიღება სხვა ფორმატში, დახურულად, ვიწრო ჯგუფში, მხოლოდ პირად ურთიერთობებზე დაყრდნობით, – განაცხადა ბურჯანაძემ.

ამასთან, „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს" ლიდერს არ სჯერა ამ შეხვედრის ობიექტურობისა და შედეგიანობის, რადგან, მისი თქმით, სააკაშვილს განსხვავებული აზრის გათვალისწინების უნარი არ აქვს.

როცა ხელისუფლება ამბობს, რომ ოპოზიციაში არიან რუსეთთან დაკავშირებული პირები, სრულიად გაუგებარია, რატომ იწვევს სხდომაზე, სადაც უსაფრთხოების საკითხები იხილება? ხელისუფლებამ უნდა მოიხადოს ბოდიში ცრუ ბრალდებების გამო, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ის ძალაში ტოვებს თავის ბრალდებებს, მაშინ გაუგებარია, როგორ იწვევს ამ ბრალდებებში ეჭვმიტანილ პირებს ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებზე სასაუბროდ, – აინტერესებს ბურჯანაძეს.

გარდა ამისა, მესამე და ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზად ნინო ბურჯანაძე უნდობლობას ასახელებს.

ხელისუფლებას, რომელიც ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტამდე ქვეყანაში დემოკრატიის ახალი ტალღის დაწყებას აცხადებს, ხოლო ვიზიტის დასრულებისთანავე განახლებული და ბევრად უფრო სასტიკი მეთოდებით ახორციელებს ტერორს საკუთარ მოქალაქეებზე, არ შეიძლება ენდო.

დღეს მე ჩვენი ქვეყნის მთავარ საფრთხეს სწორედ სააკაშვილში და ამ რეჟიმში ვხედავ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ არაადეკვატური, უუნარო და არაპროგნოზირებადი ხალისუფლებაა ყველაზე დიდი საშიშროება ხალხისთვის. ოკუპანტები ვერც კი იოცნებებდნენ იმდენის მიღებას, რაც მათ სააკაშვილის მართვამ მიალებინა.

ჯი-ეიჩ-ენი

## მათქმევინეთ!

# სამგლე გოჭებივით ატეხილები

## ისევ სცილასა და ქარიბდას შორის

**საქართველოს სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში, თუ არ ჩავთვლით დავით აღმაშენებლიდან ვიდრე თამარ მეფემდე სულ რაღაც 120-წლიან მონაკვეთს, როდესაც ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმულმა ქართულ-კავკასიურმა იმპერიამ თავისი სიძლიერის ზენიტს მიაღწია, მაშინდელი ევროპა-აზიის სახელმწიფოები ჩვენს ინტერესებს ითვალისწინებდნენ და პატივს სცემდნენ... ისიც უნდა ვთქვათ, რომ არც მანამდე, ანუ, დავითამდე და არც მას შემდეგ, ანუ თამარის შემდეგ, არ ყოფილა მსგავსი პერიოდი ჩვენს ტრაგიკულ ისტორიაში, 120-წლიანი ოქროს ხანას მიღმა მუდმივად პირიქით იყო ყველაფერი – სცილასა და ქარიბდას შორის მოქცეული საქართველოს ბრძოლა, ეს იყო ქართველობის, სარწმუნოების, მამულის გადარჩენისთვის თავდადებული ომი.**

დავით IV აღმაშენებელი სრულიად დამსახურებულად არის მიჩნეული ქართველების ყველა დროის უდიდეს მონარქად არა იმიტომ, რომ მანამდე და მას შემდეგ დავითის დარი მეფეები არ გვყავდა, არამედ იმიტომ, რომ მან სხვებზე შეუდარებლად დიდის და ბევრის მიღწევა შეძლო. ეს „შეძლება" კი უპირველესად იმ დროს შექმნილმა ხელსაყრელმა გეოპოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა და მხოლოდ ამის შემდეგ ეგ აღმაშენებლის გენიამ.

იგივეს თქმა, გიორგი V ბრწყინვალეზეც შეიძლება, რომელმაც მონღოლთა ტაიფუნის მინავლების შემდეგ შეძლო დავითის მიერ შექმნილი ქართველთა იმპერიის აღდგენა, მართალია მცირე ხნით, მაგრამ მაინც.

ამის შემდეგაც არა ერთი ნიჭიერი და დიდი ხელმწიფე გვყოლია... მრავლად გვყავდა უნიჭონიც. პირველნი ვირტუოზულად ახერხებდნენ სცილასა და ქარიბდას შორის ბალანსირებას, ანუ, შედარებით ნაკლები სისხლით ილიასეული ფორმულის, მამული-ენა-სარწმუნოების შენარჩუნებას. მეორენი და სამწუხაროდ სწორედ უნიჭონი, უსაფუძვლოდ ამბიციურნი, თუმცა ბრძოლის ველზე პირადი გმირობით გამორჩეული მეფენი მეფობდნენ მაშინ, როდესაც საქართველოს ყველაზე დიდი საფრთხეები ემუქრებოდა, მათი პირადი გმირობა აურაცხელ სისხლად და ცრემლად დაუჯდა საქართველოს. როცა ბაგრატ V-ისა და გიორგი VII-ს დროს, 17 წლის განმავლობაში, 8-ჯერ ილაშქრა თემურლენგმა საქართველოზე და თეიმურაზ I, რომლის დროსაც შაჰ-აბასმა ნახევარი კახეთის მოსახლეობა გაწყვიტა და ზოგიც ირანში გადაასახლა.

ეს არცთუ ისე მცირე ისტორიული ექსკურსი იმად დამჭირდა, რომ ქვემოთ ვაპირებ ერთ საჩოთირო თემას შევეხო, რის გამოც, როგორც იტყვიან, **სამართებლის პირზე მომიწევს გავლა – საქართველო დღესაც სცილასა და ქარიბდას შორის იმყოფება და სწორედ ახლა, იქნებ როგორც არასდროს, ისეა აუცილებელი ბალანსირების პოლიტიკა, რომლის არქონამ გამოიწვია შარშანდელი აგვისტოს დამანგრეველი ტრაგედია.**

როგორ ჩანს, ჭკუა მაინც ვერ ვისწავლეთ. ეს რომ ასეა, განსაკუთრებით აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ვიზიტის შემდეგ გამოჩნდა, რაც სააკაშვილის ხელისუფლებამ აშკარად პირად მხარდაჭერად აღიქვა, მაგრამ ეგ იქით იყოს. ბაიდენის განცხადებებით რუსეთის საფრთხეს განეიტრალებულად თვლიან, არ ვიცი გულწრფელი თუ მოჩვენებით ეიფორიაში იმყოფებიან, რაც **ორივე შემთხვევაში შეიძლება ძვირად დაუჯდეს ჩვენს ქვეყანას.**

ამერიკული და ზოგადად დასავლურის გარდა, ქვეყნის განვითარების არსებობის სხვა ვექტორზე ფიქრიც კი, სამშობლოს ღალატად ითვლება, რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების დამყარების აუცილებლობაზე საუბრებისთვის, თვით კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II არ ერიდებიან – ღმერთკაციც არაერთხელ გამხდარა „ნაცების" ურაპატრიოტთა კრიტიკის მსხვერპლი და ჩემისთანა უბრალო მოკვდავს უკეთესი დაემართება?

„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების" – უთქვამს ბრძენს. ვფიქრობ, დღეს



სწორედ რომ თქმის დროა, სიმართლის თქმისა და ფიქრის, როგორ ვუშველოთ ჩვენს საქართველოს, რომლის ტერიტორია **ორი ზესახელმწიფოს – აშშ-რუსეთის ინტერესთა შეჯახების პოლიგონად იქცა.** მიუხედავად იმისა, ვინ ვის აჯობებს, გამარჯვებული საქართველო ვერ იქნება, საქართველო ხომ ჩვენს თვალწინ შაგრენის ტყავივით პატარავდება... ამიტომაც, ერთი პოეტისა არ იყოს, მეც –

იხ. 4 გვ.

◉ საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი...

# ამ თავსმოხვეულ ომში დაღუპული ბიჭების ხსოვნას, რასაკვირველია, სამშობლო სანთლებად აინთებს, მაგრამ თავიანთი ახალგაზრდული სიცოცხლით ისინი, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო მეტად შეეწეოდნენ ჩვენს ბედკრულ ქვეყანას...

## შარშან აგვისტოს ომში დაღუპულნი და დაკარგულნი



**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, რუსეთ-საქართველოს ომში 115 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, 54 კი დაკარგულად ითვლება.**

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა სახელობითი სია 2008 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობით**

**სულ: 115**
**მ.შ. ოფიცერი: 8**
**კაპრალ/სერჟანტი: 96**
**რიგითი: 1**
**რეზერვისტი: 9**
**სამოქალაქო პირი: 1**

1. კაპიტან-ლეიტენანტი ჭიტაძე თეიმურაზ თამაზის ძე - სამხედრო საზღვაო ძალები
2. კაპრალი დათუაშვილი ზვიად რევაზის ძე - სამხედრო საზღვაო ძალები
3. კაპრალი ფიჩხაია თემურ გოგის ძე - სამხედრო საზღვაო ძალები
4. კაპრალი ღვინჯილია გიორგი ნუგზარის ძე - სამხედრო საზღვაო ძალები
5. კაპრალი ბარბაქაძე ზვიად ზურაბის ძე - სამხედრო საზღვაო ძალები
6. კაპიტანი ბალხამიშვილი ალბერტ უშანგის ძე — სამხერო საჰაერო ძალები
7. სერჟანტი დევნოზაშვილი ნოდარ ეფრემის ძე — სამხედრო საჰაერო ძალები
8. ავიაციის უმცროსი სერჟანტი ნანუაშვილი გიორგი ჯიმშერის ძე — სამხედრო საჰაერო ძალები
9. კაპრალი ბასილაძე ბადრი გიორგის ძე — სამხედრო საჰაერო ძალები
10. ვადიანი ს/მ გურჩიანი სამსონ ფრიდონის ძე — სამხედრო საჰაერო ძალები
11. კაპრალი ტრაპაიძე შალვა გურამის ძე - I ქვეითი ბრიგადა
12. კაპრალი თაყაძე ვიტალი ილიას ძე - I ქვეითი ბრიგადა
13. კაპრალი ბეკურაშვილი მამუკა გოჩას ძე - I ქვეითი ბრიგადა
14. ლეიტენანტი ხურციძე შოთა ოლეგის ძე - I ქვეითი ბრიგადა
15. კაპრალი შაინიძე ასლან ჯემალის ძე - I ქვეითი ბრიგადა
16. კაპრალი ნიკიტინი თამაზ ედუარდის ძე - II ქვეითი ბრიგადა
17. უმცროსი სერჟანტი ფანცულაია მამია თამაზის ძე - II ქვეითი ბრიგადა
18. კაპრალი თეფნია ლევან ოთარის ძე - II ქვეითი ბრიგადა
19. უმცროსი სერჟანტი დიასამიძე ედნარ დურსუნის ძე - II ქვეითი ბრიგადა
20. კაპრალი ჯაილოვა დიმიტრი ოთარის ძე - II ქვეითი ბრიგადა
21. კაპრალი ბოკუჩავა თემურ ტარიელის ძე - II ქვეითი ბრიგადა

იხ. 5 გვ.

◉ გაგიგონია?!

# მე რომ გორელებისა ვიყო, ეგ ვიღაც ლადარიას ყურებს ავახევდი...

## შენ კი დაპრესომბუდსმენდი საცხა, ნოდარია ხარ თუ ლადარია



დასაწყისშივე შევთანხმდეთ: რაც უფრო ღირსეულია პიროვნება, მით მეტ სიამოვნებას ღებულობს ბრბო ამ პიროვნების შეურაცხყოფით.

ახლა საქმეზე.

ვკითხულობ „24 საათში" (3.08.09ძ გაშანშალებულ პრესომბუდსმენის ნოდარია ლადარიას წერილს „ჩამოვკვარცხლბეკდი, სოსელო!" არ მიკვირს, რასაც წერს, რადგან შემჩნეული მაქვს: ამ ავტორის საგაზეთო წერილებს, როგორც წესი, ლაიტმოტივად თან სდევს საქართველოსთვის საზიანო იდეა: ის, რასაც საქართველო, ქართველი, ქართული ჰქვია, მისი აზრით, სამარცხვინო და უკუსაგდებია. იგი დაუნდობლად უნდა ამოიძირკვოს.

ამ ოდიოზურ პრესომბუდსმენს დროდადრო ხან აქედან, ხან იქიდან შეუძახებენ, ურჩევენ, ეხმიანებიან, — ბიჭო, ნუ შვრები მაგას, ნუ მტრობ საქართველოს, ეს ხომ შენი ეკლესიაა, შენი ენაა, შენი მამულია. გაგიგონია?! ფეხებზე ჰკიდია ერთიც და მეორეც, მესამეც. ამბობენ, ვიღაც ბნელ ძალებს ემსახურება, კუდი რომ სოროსის ფონდში უდევს და ისიც უშურველად უხდისო. გახსოვთ, ალბათ, მისი მკრეხელური გაპაექრება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლესთან დაკავშირებით.

ამჯერად ამ ნოდარია ლადარიამ სამიზნედ იოსებ სტალინი შეარჩია. მასთან მოინდომა დაჭიდება. თავისი რქების იმედითაა.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც სტალინი მიწაში წევს. ამ ხნის მანძილზე საზოგადოების ერთი ნაწილი, ე. წ. მეგაინტელექტუალები, ანუ დოიჩე-ინგლიშის მცოდნენი, ერთმანეთს ბელადის ლანძღვა-გინებაში ეჯიბრებიან. სტალინს კი მათი საცოდავი წკავწკავი სასაცილოდ არ ჰყოფნის და ვის სად წაატეხინებს კისერს, ვის — სად. ერთი ადგილობრივი მასშტაბის ჩინოვნიკი მაგონდება, ორიოდ წლის წინათ გორში გუბერნატორად რომ მოიყვანეს. დაჯდა კაბინეტში, ფანჯრიდან ქალაქის მთავარ მოედანს გადახედა და, რას ხედავს? სტალინის უზარმაზარი ქანდაკება, მართალია, მთელ მოედანს გასცქერის, მაგრამ გუბერნატორისკენ ზურგშექცევით დამდგარა. გაკვირდა ფრიად: ეს თქვენი ბელადი რა უზრდელი ყოფილა, უნდა ჩამოვკაკვარცხლბეკოო. საგუბერნატორო-სამხარეო საქმეები გვერდზე გადადო და ძეგლის სიახლოვეს უზარმაზარი საათი წამოჭიმა, რომელსაც ბელადის ძეგლის აღების დროის ათვლა „დაევალა ". გორელები ენაკვიმატი ხალხია და იმ საათს „გეგელაშვილის ბიგ-ბენი" დაარქვეს. მაგრამ დახეთ უბედობას! იმ ამბიდან სულ სამიოდ თვეში შენობიდან თავად გუბერნატორი გამოაბრძანეს და თბილისის გზას გაუყენეს. თავისი „ბიგ-ბენიც" ზედ მიაყოლეს.

ბელადი კი დღესაც „პატარა გორის" დიდ მოედანზე დგას და არსად არ აპირებს წასვლას. ვატყობ, ულვაშებში ეღიმება კიდეც: ახლა პრესომბუდსმენის ჯერიაო...

ძეგლის დემონტაჟი თურმე ბევრ სიკეთეს ჰპირდება ქვეყანას. განვითარდება ტურიზმი, რითაც, როგორც ავტორი წერს, „როგორც ქართველი პოეტების შემოქმედებიდან შეიძლება დავასკვნათ, უხვად არის დაჯილდოებული ჩვენი კურთხეული მიწა-წყალი". პირადად ნოდარია ლადარიას სტალინის ძეგლი თურმე ხელს უშლის „ჩვენი კურთხეული მიწა-წყლის" აღქმაში, თორემ ქართველი პოეტების აზრს არ დაეყრდნობოდა (ქართული მწერლობაც გაკეწწლა!ძ.

საქართველოს არჩევანი — იყოს თავისუფალი და დამოუკიდებლად ისწრაფოს ხვალისკენ თუ დარჩეს მავნე და უბადრუკი იდეების ერთგული პარტიკულარული ვნებების რეზერვაციაში, თურმე დამოკიდებულია იმაზე, დარჩება თუ არა სტალინის ძეგლი ქალაქის მთავარ მოედანზე.

რაც შეეხება გორელების დამოკიდებულებას თავიანთი თანამოქალაქისადმი, ვაღიარებ ამ ნოდარია ლადარიასი ვერაფერი გავიგე, აბრაკადაბრა თუ გინდა, ეგ არის.

**ირაკლი ყანდარელი, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, თადარიგის პოლკოვნიკი, ორგზის ღირსების ორდენოსანი:** სტალინის თემა სათუთი თემაა და ასე არაკომპეტენტური საუბარი მასზე არ შეიძლება. წერილში ბევრი რამ მიუღებელი ან საკამათოა. ჯერ მარტო სტალინის „დიასახლისობა" როგორი აბდაუბდაა?! ლენინმა რომ თქვა, „ყველა დიასახლისს უნდა შეეძლოს სახელმწიფო მართვაო", მან სიტყვა „кухарка" იხმარა, რაც სრულებითაც არ ნიშნავს „დიასახლისს". ეს იგივეა, „მუჟიკზე" ვთქვათ, ინტელიგენტიო. სინანულს იწვევს ფაქტების მიკერძოებული ცოდნა და მათი გაანალიზების უუნარობა.

**ომარ შახნაზაროვი, ფეხსაცმლის შემკეთებელი:** ახლახან წავიკითხე კ. რომანენკოს „სტალინის დიდი ომი". წიგნი მთლიანად დოკუმენტურ მასალაზეა აგებული. გაგანია ომის დროს ჰიტლერი სტალინზე ამბობს — ვეფხვიაო. აი, კაცი! თქვე დალოცვილებო, მეტი მოსაგვარებელი საქმე ვერაფერი ნახეთ? ნამუს ჩკა? ხის კავზე და ატომურ ბომბზე რომ ამბობს, არაფერი მსმენიაო, წაიკითხოს ჩერჩილის სამტომეული და სხვასაც ბევრ რამეს გაიგებს. არ მეგონა, თუ „24 საათში" ასე უმწიფარი ხალხი იჯდა.

**დავით მაჭავარიანი, ინჟინერ-მშენებელი:** ძეგლის გადატანა გინდათ? კი, ბატონო, გადავიტანოთ, მაგრამ გადავიტანოთ არა იქვე, მუზეუმში, არამედ ცხინვალში, ან ახალგორში, ან ერედვში, კეხვში, ქემერტში... სადაც მეტყვით. თავად მოვიკიდებ ზურგზე და წავიღებ. მანამდე კი, ვიდრე იმ სოფელ-ქალაქებს დავიბრუნებდეთ, მოედანზე დავტოვოთ იმის გასახსენებლად, თუ რა დაგვიტოვა სოსელომ და რა შეგვრჩა ხელში...

„რა თქმა უნდა, არსებობს დროის წმინდა საცერი", პოეტი ამბობს ამას. გავა წლები, ათწლეულები, წყალნი წავლენ და წამოვლენ, მოვა მართალი მემატიანე და ამ წმინდა საცრით გაცრის ყოველივე იმას, „რაც იყო". თავის ადგილს მიუჩენს ყველაფერს, —

ქატო იქა, ფქვილი აქა.

დაქირავებულნო, მამონას მსახურნო, ბოროტების ბილიკებით მოსიარულენო, ქატოდ ნუ გადაიქცევით!

**გურამ ვაშაკიძე,**
**ქ. გორი**

*P. S. კასპელი მეგობარი შემხვდა. ცნობილი ჟურნალისტია. მეუბნება:*
*— მე რომ გორელებისა ვიყო, მაგ თქვენ ლადარიას ყურებს ავახევდი:*
*„სტალინის ძეგლი გორში იგივეა, რაც ჰიტლერისა — იერუსალიმშიო".*
*რაღაც ვერ ააწყო მაგაზე და ეგ არის.*

*გორში რომ სტალინის ძეგლი დგას, თავის ქალაქში, თავის მიწაზე, თავის უბანში — რუსთუბანს რომ ეძახდნენ სოსელოს ბავშვობაში, იქ დგას. რომელ ჭკუათმყოფელს უნდა უკვირდეს ეს?!*

*სისულელე ყოველ ჩვენგანს მოსდის თავში, მაგრამ ჭკვიანი მას არ „გაახმოვანებს", მით უმეტეს, ფურცელზე არ გადაიტანს.*

*ნამდვილად საქმეგამოლეულნი არიან ეს ბარამიძეები, ეს ლადარიები, ეს ნოდიები. თავიანთი უშუალო საქმე ვერ მოუგვარებიათ და ღობე-ყორეს ედებიან. ცოცხალი სტალინი რომ ბევრს ჰგვრიდა ელეთმელეთს, გასაგებია, მაგრამ მკვდარიც რომ თავზარსა სცემს ბევრ ვითომც „ახალ თარგზე გამოჭრილს", არც ეს არის გაუგებარი: უკან არავინ არ უნდა მივიხედოთ, დღევანდელ შავბედობასთან შედარებით ჩვენი გუშინდელი ბევრად უკეთესი და სამართლიანი სოციალური სტატუსი არ უნდა გავიხსენოთ. აი რა დავალება აქვთ ბარამიძეებს, ნოდიებს, ლადარიებს და კიდევ ძალიან ბევრს, ვისაც ამჟამინდელი უსამართლო ცხოვრება აგრერიგად ანებივრებს და აფუფუნებს...*

**გ. ვ.**

◎ ისევ ომის საფრთხე?

**აგვისტოს ომის წლისთავის წინა დღეებში საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. საომარი განწყობა არც არასოდეს განმუხტულა, მაგრამ გუშინ და გუშინწინ მოსკოვის რიტორიკულმა განცხადებებმა პიკს მიაღწია. საკუთარი მოქალაქეების დაცვის მოტივით ომის განახლების შესახებ კრემლში თითქმის ყოველდღე საუბრობენ და თბილისს ემუქრებიან. თუმცა გულხელდაკრეფილი არც საერთაშორისო თანამეგობრობაა, რომელიც მხარეებს ვითარების განმუხტვისა და ურთიერთობის დაბალანსებისაკენ მოუწოდებს.**

# ისვრიან თუ არა ქართველები ცხინვალის მიმართულებით?



## ადგილობრივები ურთიერთსაპირისპირო ფაქტებს ჰყვებიან

საქართველოს ხელისუფლება რაიმე კონკრეტულ საშიშროებაზე კომენტარისაგან თავს იკავებს, მაგრამ პრეზიდენტ სააკაშვილს სიმშვიდე ნამდვილად არ ეტყობა. თუკი რამდენიმე დღის წინათ უცხოელ ჟურნალისტებთან თავს იწონებდა იმით, რომ მისი სხეულის „ერთი ნაწილი“ პუტინს გადაურჩა, ამჯერად აღელვებული და შეშინებული უცხოელ პარტნიორებს დახმარებას სთხოვს. ის წინასწარ აფრთხილებს მსოფლიოს, რომ რუსეთი საქართველოში სერიოზული ინტერვენციისთვის ემზადება.

სააკაშვილის ქართველი ოპონენტები ყველაფერში პრეზიდენტს ადანაშაულებენ. მეტიც, ისინი ამტკიცებენ, რომ ომი სააკაშვილისთვის მისწრება იქნება. თავად მიხეილ სააკაშვილი კი იფიცება, რომ მას ომის დაწყება არ სურს, იმ მიზეზის გაცნობიერების გამოც, რომ თავიდანვე იცის, რუსეთს საქართველო ვერ მოერევა!

ქართული მხარის მტკიცების მიუხედავად, რუსეთის გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა ნოგოვიცინმა რამდენიმე საათიანი პრესკონფერენცია მიუძღვნა აგვისტოს მოვლენებს, სადაც წარმოადგინა ის დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ ომი ქართულმა მხარემ დაიწყო. ეს მტკიცებულებები მან ტალიავინის კომისიას გადასცა.

ამჯერად ომის საფრთხემ კიდევ უფრო რეალურად იჩინა თავი და არავინ იცის, საქართველოს თავზე რუსული ბომბდამშენები როდის გადაიქროლებენ.

**29** ივლისიდან რუსული მხარე და სამხრეთ ოსეთის მარიონეტული ხელისუფლება აცხადებენ, რომ ქართული მხრიდან პროვოკაციები ხორციელდება, რასაც ოფიციალური თბილისი კატეგორიულად უარყოფს. ასეთ ფაქტებს არც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ადასტურებს. საინტერესოა, რომ ადგილობრივი მოსახლეობაც ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას ჰყვება.

ამ საკითხთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა არასამთავრობო ორგანიზაცია „იბერ-ირონის“ ხელმძღვანელმა **მაია ცაბოშვილმა,** რომელიც მოერიდა ერთმნიშვნელოვნად იმის გაცხადებას, რომ ადმინისტრაციულ საზღვართან პროვოკაციებს ქართული მხარე აწყობს, თუმცა მან დაადასტურა ამგვარი ეჭვის არსებობა. **ზოგიერთი მოსახლე ამბობს, რომ ცხინვალის მიმართულებით ამა და ამ ადგილიდან სროლები იყოო, მაგრამ კონკრეტული მტკიცებულებები არ არსებობს. მე რომ დავადასტურო, ჩემი მხრიდან პროვოკაცია იქნებოდა. ფაქტია, რომ ფეთქდება ნაღმები, ჭურვები, არის სროლები, მაგრამ ევროკავშირის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ცეცხლი არც რუსების და არც ქართველების მხრიდან არ გვინახავსო. ჩემთვის უფრო საიმედო მათი განცხადებებია,** — აღნიშნავს მაია ცაბოშვილი.

მისი ინფორმაციით, ერთი თვის წინათ დამთავრდა სწავლებები „კავკასია-2009“, მაგრამ საჯარისო ნაწილები დისლოკაციის ადგილებს არ დაბრუნებიან. მათი მასშტაბები გაცილებით დიდია, ვიდრე გასულ წელს იყო. მოსალოდნელია, რომ პროვოკაციები მოხდეს, მაგრამ არა დიდი სამხედრო კონფრონტაცია, რადგან მოსკოვისა და თბილისის სიტყვიერი განცხადებები უფრო ნიადაგის მოსინჯვას ჰგავს, ვიდრე რეალურად ომის დაწყების სურვილს, — ამბობს ის.

„იბერ-ირონის“ ხელმძღვანელი აზერბაიჯანსა და სომხეთს მოუწოდებს, რომ დაინტერესდნენ საქართველო-რუსეთს შორის მიმდინარე რთული ვითარებით, რადგან თუკი ესკალაცია მაინც მოხდება, ისინიც პოლიტიკური და ეკონომიკური დარტყმის ქვეშ აღმოჩნდებიან. მაია ცაბოშვილმა ქვეყნის კონფედერაციული მოწყობის აუცილებლობაზეც მიანიშნა, რადგანაც ეს ის საკითხია, რომელსაც ოსები და აფხაზები დუმილით სცემენ პასუხს, თუმცა კარს არ ხურავენო.

**ხელისუფლებაც ბაიდენის ვიზიტის შემდეგ ამ იდეაზე ალაპარაკდა, მაგრამ რამდენად ადეკვატურად შეხვდება მას საზოგადოება, ჯერ გაურკვეველია. მთავარია, ომის საფრთხემ გადაიაროს, რომელსაც მხოლოდ 8 აგვისტომდე გაგრძელებას უწინასწარმეტყველებენ. ყოველ შემთხვევაში, როგორც საქართველო, ისე რუსეთი ამ ომის დაწყებისთვის ინფორმირებულია ისე, როგორც არასდროს. მათ შორის, ყველაფერი ცხადი და ნათელია საერთაშორისო საზოგადოებისთვის, რომელიც იმედია მხოლოდ შეშფოთებითა და დაგმობით არ შემოიფარგლება და ყველაფერს გააკეთებს ახალი ომის თავიდან ასაცილებლად.**

თეა მოსია

◎ მათქმევინეთ!

(მეორე გვერდიდან)

## „და კითხვა ვინ, ვის ბებერ გულში ლახვრად მაჩნია“

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტს, ჩვენი ხელისუფლება რომ სათავისოდ გააპრავებდა, ამის ვარაუდს ბევრი გამოთქვამდა. ასეც მოხდა და არც თუ უსაფუძვლოდ ჩათვალა ხელისუფლებამ ბაიდენის ტრიუმფალური ვიზიტი არსებული რეჟიმის მხარდაჭერად.

მიუხედავად ჩვენი უხერხემლო, უნიათო ოპოზიციის ბაქი-ბუქისა, პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია (ღმერთმა ქნას ვცდებოდე!ძ სააკაშვილი მინიმუმ 2013 წლამდე დარჩება პრეზიდენტად. რამდენიც არ უნდა ეცადონ იმის მიჩქმალვას თუ რაზე ისაუბრა ბაიდენმა ოპოზიციასთან, ვიზუალური ფაქტები თავისას ამბობენ: საკნების ქალაქი ბაიდენის აქ ყოფნის დროსვე აილეს, მისი წასვლის შემდეგ რუსთაველზე არსებული ტრიბუნაც დაშალეს და მოძრაობაც აღდგა. ამ ფონზე ოპოზიციის ლიდერთა მტკიცება, რომ შემოდგომაზე ახალი საპროტესტო ტალღის აგორებას აპირებენ, ტაქტიკა-სტრატეგია უნდა შეცვალონ და სხვა ამგვარი ზღაპრები, სასურველის რეალობად წარმოჩენის და საზოგადოების მოტყუების მცდელობაა.

მაგრამ მოდით თავი დავანებოთ ოპოზიციას, რომელმაც ნებით თუ უნებლიეთ ყველაფერი გააკეთა საპროტესტო მუხტის დასაგდებად, მე უფრო ხელისუფლების მოქმედებები მაინტერესებს.

ბაიდენის წასვლის მეორე დღესვე რაიხსტაგად მონათლულ პრეზიდენტის სასახლეში უმრავლესობასთან შეხვედრაზე ამ ვიზიტის შედეგების შეჯამება სცადა სააკაშვილმა, რომელმაც სიტყვა-სიტყვით განაცხადა, რომ — **პუტინის გეგმა საქართველოს სრული ოკუპაციისა ჩაიშალა, რომ შარშან, აგვისტოში 170 ქართველი კი დავკარგეთ, მაგრამ სამაგიეროდ რუსეთს მშვიდობის მტრედის იმიჯი (ნეტავ როდის ჰქონდა?) დაუკარგავს დასავლეთის თვალში, რომ აშშ არასოდეს აღიარებს ცხინვალისა და სოხუმის დამოუკიდებლობას, რაც მომავალში ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტიაა, რომ აქედან გამომდინარე — ოლოლო შინაურ რუსეთუმეებს... რომ, რომ და ათასი სულელური „რომ“. მათი ბოლომდე ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.**

რით შეიძლება ამ შიშველ პროპაგანდას უპასუხო? მოკლედ და სხარტად ბაიდენის ვიზიტს ერთი რუსული გამოთქმა შეეფერება — „Хорошая мина, при плохой игре“ ანუ, ცუდი მოქმედებისას, კარგი სახის შენარჩუნების მცდელობა, რაც უფრო მეტად აშშ-ს საზოგადოების შიდა მოხმარებისთვის არის გამიზნული, ვიდრე რუსეთის დასაშინებლად.

ვის და როდის გასვლია რუსეთთან ძალისმიერი პოზიციებიდან საუბარი, თუნდაც კავისა და ძალამნის რუსეთთან? მით უმეტეს უსარგებლოა ასეთი საუბარი ატომურ რუსეთთან.

ან, რამდენად სამართლიანია სხვის რუსეთუმეობაზე საუბარი, როცა მთავრობაში რუსეთის მოქალაქეები: საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე და რუსეთის მსხვილი ოლიგარქი კახა ბენდუქიძე გყავს, როცა ყველაფერი რუსეთს მიჰყიდე?

არც ის არის დამაჯერებელი, რომ აშშ არასოდეს ცნობს ცხინვალ-სოხუმის დამოუკიდებლობას, რადგანაც სწორედ აშშ-ს ძალისხმევის შედეგად არსებობს კოსოვოს პრეცედენტი. ასეც რომ არ იყოს, მხოლოდ არალიარების პოლიტიკა ვერ გახდება ტერიტორიების დაბრუნების გარანტია. აშშ-ს არასოდეს უღიარებია ბალტიის რესპუბლიკების ანექსია, მაგრამ 50 წელიწადი იქ მაინც საბჭოთა რეჟიმი იყო, რაც მხოლოდ სსრკ-ის დაშლის შემდეგ შეიცვალა. თუ ვინმეს ჩვენი ტერიტორიების დაბრუნება 50 წლის შემდეგ ხიბლავს, ეს მათი ფსიქიკური პრობლემაა!

რაც შეეხება XXI საუკუნეში გავლენის სფეროების არსებობის დაუშვებლობას, ესეც აშშ-ს პროპაგანდაა — აბა ნახეთ, — დღეს მიდის თუ მიდის მსოფლიოს ახალი გადანაწილება, რომელშიც მესამე, მძლავრი მოთამაშე ჩინეთიც ჩაერთვება (თუ ჩართული არ არისძ და აშშ-ს მოუწევს ცუდსა და უარესს შორის არჩევანის რუსეთის სასარგებლოდ გაკეთება.

**ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ობამამ პირობა მისცა მოსკოვში ყოფნისას რუსეთს, რომ მის ინტერესებს პოსტსაბჭოთა სივრცეში პატივს სცემს და გაითვალისწინებს.**

კიდევ ბევრი არგუმენტის მოყვანა შეიძლება იმის სასარგებლოდ, რომ საქართველოს არაფრით კარგს არ მოუტანს ერთმნიშვნელოვნად აშშ-ის მხარეს გადახრა, მაგრამ ალბათ ნათქვამიც საკმარისია და ეს მწარე რეალობა ესმით როგორც ოპოზიციის ნაწილს, ისე საზოგადოების აბსოლუტურ „რუსეთუმე“ უმრავლესობას. სწორედ იქიდან გამომდინარეა ოპოზიციის ვოიაჟები ევროპასა თუ უკრაინაში, — მოსკოვთან მისასვლელ გზებს ეძებენ!

რაც შეეხება საზოგადოებას, ჩაატარონ ობიექტური გამოკითხვა და დარწმუნდებიან, რომ პროამერიკული, პრონატოური განწყობიდან, რომელიც აშკარა იყო შარშან აგვისტოს ომამდე, დღეს თითქმის აღარაფერია დარჩენილი, რადგანაც ყველამ დაინახა რომ, როცა საქმე საქმეზე მივიდა, ხმამაღლა განცხადებების იქით, ვერც ამერიკა დაგვეხმარა და ვერც „ნატო“.

აქედან გამომდინარე, ერთი რამ უნდა შეიგნოს ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც, რომ აშშ რუსეთს და პირიქით, საქართველოს ინტერესებთან დამოკიდებულებაში არაფრით სჯობს, რადგანაც

# სამგლე გოჭებივით ატეხილები

## ერთი ალხანაა და მეორე ჩალხანაა

და ორივე, ერთი ლექსის არ იყოს — **„რუსიც და ამერიკელიც, ვანიაცა და ჯონიც, ჩვენს საქართველოს ორივე, თავისთვის ზომავს-წონის!..“** ეს უნდა გვახსოვდეს და აქედან გამომდინარე უნდა გავიხსენოთ წინაპართა სიბრძნე ორ მგელს შორის ბალანსირებისა.

რადგანაც აშშ-სთან ურთიერთობები დალაგებული და გარკვეული გვაქვს, იგივე უნდა ვცადოთ რუსეთთანაც. ამისთვის ხელისუფლებამ უნდა დაანებოს თავი იმ პოლიტიკას, როცა, უკაცრავად პასუხია და ამერიკელის წინაშე წაკუზულ ქართველს ჩინმედლებით აჯილდოებს — რა მაგარი პატრიოტი ხარო და იგივე ქართველმა თუ რუსს ხელი ჩამოართვა, იმ ხელს მოაჭრის და ოკუპაციის მუზეუმში დადებს — აი, კრემლის აგენტიო!

საქართველო, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, მხოლოდ გეოგრაფიული ობიექტია, რომელსაც არავინ არაფერს ეკითხება და ჩვენს ბედს სხვები წყვეტენ, **კავკასიაში ოდითგან მთავარი მოთამაშის სტატუსს, მხოლოდ ორ ზესახელმწიფოს შორის ინტერესებზე გონივრული თამაშით დაიბრუნებს.**

ეს, რაც შეეხება პოლიტიკას, რომელიც ეკონომიკის ზედნაშენია თუ პირიქით... ჩვენი ეკონომიკის განვითარება რუსეთის უკიდეგანო ბაზრის გარეშე შეუძლებელია. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ რუსეთში ნახევარ მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს, რომლებიც იგივე აშშ-სა თუ ევროპაში მცხოვრებ ქართველთაგან განსხვავებით, რუსეთში მხოლოდ ღამის ქოთნების შეტანა-გატანით არ არიან დაკავებულნი. ბევრ მათგანს წამყვანი პოზიციები უკავიათ ბიზნესში თუ პოლიტიკაში, მეცნიერებასა თუ ხელოვნებაში. აღარაფერს ვამბობთ მილიარდობით დოლარზე, რომელსაც რუსეთიდან უგზავნიან საქართველოში მყოფ ნათესავებს. არც ერთმორწმუნეობაზე „უაზრო“ ლაპარაკია უაზრო, როგორც ამას წინათ განაცხადა სააკაშვილმა.

ყველაფერი ეს, ის ინტელექტუალურ-ეკონომიკური რესურსია, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების დალაგების პოლიტიკური ნებელობაა.

თუ ამ ყველაფერს არ გავითვალისწინებთ და ისევ სამგლე გოჭებივით ატეხილები მხოლოდ ამერიკა, ამერიკას ვიყვირებთ, წურავინ დაიჯერებს, რომ პუტინის გეგმა საქართველოს ოკუპაციისა, რომლის ჩაშლაც გვახარა სააკაშვილმა, მართლა ჩაიშალოს! რუსული აგრესიის განახლების საშიშროება კვლავაც არსებობს და მერწმუნეთ, რომ ასეთ შემთხვევაში ამერიკული „ადეკვატური“ დახმარება არ დაიგვიანებს.

ხმამაღალი განცხადებების ფონზე, შავ ზღვაში შემოვა აშშ-ს კრეისერი, რომელიც პამპერსებით და ცივი წყლით იქნება დატვირთული, შიშისგან ჩასველებულ-ჩასვრილი და გულწასული ნაციონალური ხელისუფლების დასახმარებლად...

დავით მხეიძე

## ◎ საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი...

# შარშან აგვისტოს ომში დაღუპულნი და დაკარგულნი

(მესამე გვერდიდან)

22. კაპრალი სამაკაშვილი მამუკა ნუგზარის ძე - II ქვეითი ბრიგადა
23. კაპრალი შაინიძე ამირან ნოდარის ძე - II ქვეითი ბრიგადა
24. კაპრალი აბაშიძე მალხაზ ილიას ძე - II ქვეითი ბრიგადა
25. კაპრალი ბალაშვილი ზურაბ გივის ძე - II ქვეითი ბრიგადა
26. კაპრალი დვალიშვილი მიხეილ დავითის ძე - II ქვეითი ბრიგადა
27. კაპრალი ბერიძე თეიმურაზ ბეჟანის ძე - II ქვეითი ბრიგადა
28. კაპრალი შეყლაშვილი ილია ვაჟას ძე - II ქვეითი ბრიგადა
29. უმცროსი სერჟანტი თურმანიძე ფრიდონ გიორგის ძე - II ქვეითი ბრიგადა
30. სერჟანტი შაინიძე ვაჟა ნოდარის ძე - II ქვეითი ბრიგადა
31. უმცროსი სერჟანტი გელდიაშვილი ანზორ ვახტანგის ძე - II ქვეითი ბრიგადა
32. უმცროსი სერჟანტი კოხრეიძე ლევან რეზოს ძე - II ქვეითი ბრიგადა
33. უმცროსი სერჟანტი ონიანი ალექსანდრე ვალოდის ძე - II ქვეითი ბრიგადა
34. კაპრალი წულაძე რუსლან ვილორიკის ძე - II ქვეითი ბრიგადა
35. კაპრალი ფორჩხიძე ნიკოლოზ ჯონდოს ძე - II ქვეითი ბრიგადა
36. კაპრალი კუპატაძე შმაგი როლანდის ძე - II ქვეითი ბრიგადა
37. კაპრალი კაცაძე ზვიად სერგოს ძე - II ქვეითი ბრიგადა
38. უმცროსი სერჟანტი გაბუნია ილია ივანეს ძე - II ქვეითი ბრიგადა
39. კაპრალი ჯანელიძე ირაკლი ვაჟას ძე - II ქვეითი ბრიგადა
40. კაპრალი ბარამია მარლენ ტარიელის ძე - II ქვეითი ბრიგადა
41. სერჟანტი მელქაძე ლევან თამაზის ძე - II ქვეითი ბრიგადა




42. კაპიტანი ლაგურაშვილი ლერი თენგიზის ძე - II ქვეითი ბრიგადა
43. კაპრალი მანძულაშვილი ლევან ოლეგის ძე - II ქვეითი ბრიგადა
44. უმცროსი სერჟანტი ეფაძე ზურაბ ავთანდილის ძე - III ქვეითი ბრიგადა
45. კაპრალი ტატუაშვილი გიორგი ზაურის ძე - III ქვეითი ბრიგადა
46. კაპრალი ზაზაშვილი ალექსანდრე პავლეს ძე - III ქვეითი ბრიგადა
47. კაპრალი გიგუაშვილი მალხაზ თამაზის ძე - III ქვეითი ბრიგადა
48. კაპრალი ქამაშიძე ავთანდილ იოსების ძე - III ქვეითი ბრიგადა
49. კაპრალი ხარჩილავა კობა რევაზის ძე - III ქვეითი ბრიგადა
50. კაპრალი ბალახაშვილი არტემ გურამის ძე - III ქვეითი ბრიგადა
51. უმცროსი სერჟანტი თუთისანი მერაბ მურმანის ძე - III ქვეითი ბრიგადა
52. კაპრალი ციცქიშვილი ვალერი რეზოს ძე - III ქვეითი ბრიგადა
53. კაპრალი გოგორიშვილი გიგა ტიტეს ძე - III ქვეითი ბრიგადა
54. უმცროსი სერჟანტი სმირნოვი ვასილი იურის ძე - III ქვეითი ბრიგადა
55. უმცროსი სერჟანტი კოპალიანი პაატა ჯეირანის ძე - III ქვეითი ბრიგადა
56. უმცროსი სერჟანტი ბრეგაძე ფრიდონ ავთანდილის ძე - III ქვეითი ბრიგადა
57. მაიორი დოლიძე შალვა ზაურის ძე - IV ქვეითი ბრიგადა
58. სერჟანტი მგალობლიშვილი ფილიპე ჰამლეტის ძე - IV ქვეითი ბრიგადა
59. უფროსი ლეიტენანტი ბაბუციძე ილია გიორგის ძე - IV ქვეითი ბრიგადა
60. კაპრალი დადვანი საბა შამილის ძე - IV ქვეითი ბრიგადა
61. კაპრალი ირემაძე მურთაზ გურამის ძე - IV ქვეითი ბრიგადა
62. კაპრალი გზირიშვილი ვახტანგ ბადრის ძე - IV ქვეითი ბრიგადა
63. კაპრალი დვალიშვილი დავით რობერტის ძე - IV ქვეითი ბრიგადა
64. კაპრალი დოიჯაშვილი ონისე ლევანის ძე - IV ქვეითი ბრიგადა
65. კაპრალი მჟავანაძე რაულ ასლანის ძე - IV ქვეითი ბრიგადა
66. კაპრალი ჩადუნელი დევი ჯონდოს ძე - IV ქვეითი ბრიგადა
67. კაპრალი ქარჩავა გოგიტა ნუგზარის ძე - IV ქვეითი ბრიგადა
68. კაპრალი მახარაშვილი ზაურ მურმანის ძე - IV ქვეითი ბრიგადა
69. კაპრალი წურწუმია კობა ამირანის ძე - IV ქვეითი ბრიგადა
70. კაპრალი ჯავახიშვილი გიორგი გენადის ძე - IV ქვეითი ბრიგადა
71. კაპრალი ღვინიაშვილი სოსო თენგიზის ძე - IV ქვეითი ბრიგადა
72. კაპრალი ბერიკაშვილი გიორგი მიხეილის ძე - IV ქვეითი ბრიგადა
73. კაპრალი დავითაშვილი ვლადიმერ უშანგის ძე - IV ქვეითი ბრიგადა
74. უფროსი სერჟანტი ფერაძე ზაზა თენგიზის ძე - IV ქვეითი ბრიგადა
75. მაიორი ჭედია გელა გივის ძე - V ქვეითი ბრიგადა
76. სამედიცინო სამსახურის სერჟანტი ჭელიძე მერაბ თამაზის ძე - V ქვეითი ბრიგადა
77. კაპრალი ღვინიაშვილი გიორგი თენგიზის ძე - V ქვეითი ბრიგადა
78. კაპრალი მამალაძე ამირან გურამის ძე - V ქვეითი ბრიგადა
79. კაპრალი ტოროშელიძე ჯიმშერ იაშას ძე - საინჟინრო ბრიგადა
80. კაპრალი მურადაშვილი გიორგი პაატას ძე - საინჟინრო ბრიგადა
81. სერჟანტი ახალკაცი ზაზა ბეგლარის ძე - საინჟინრო ბრიგადა
82. პოლკოვნიკი ელიზბარაშვილი დავით ვალიკოს ძე - საინჟინრო ბრიგადა
83. უფროსი სერჟანტი ბერიანიძე არჩილ ვახტანგის ძე - ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი
84. სერჟანტი ბადრიაშვილი გიორგი ნოდარის ძე - ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი
85. უფროსი სერჟანტი მელიქიძე თამაზ არდიკოს ძე - ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი
86. კაპრალი კვალიაშვილი ივანე მალხაზის ძე - ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი
87. კაპრალი განჯელაშვილი ვასილ გივის ძე - ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი
88. კაპრალი რომელაშვილი გიორგი ირაკლის ძე - ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი
89. კაპრალი დოთიაშვილი ზაზა ზაურის ძე - ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი
90. კაპრალი კურდღელაშვილი ჯიმშერ ელგუჯას ძე - ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი
91. კაპრალი მამუკაშვილი გიორგი ვალერის ძე - ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი
92. კაპრალი კვირიკაშვილი ზაქარია იოსების ძე - ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი
93. სერჟანტი ინაური ელგუჯა ნოდარის ძე - ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი
94. კაპრალი ურიგაშვილი ზურაბ თამაზის ძე - ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი
95. კაპრალი მეხატურიშვილი იოსებ გურამის ძე - ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი
96. კაპრალი მიჩიტაშვილი მზეჭაბუკ ტარიელის ძე - ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი
97. კაპრალი ერაშვილი რამაზ გურამის ძე - ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი
98. კაპრალი წულაია გიზო გულივერის ძე - ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი
99. კაპრალი ელიკაშვილი ივანე ნუგზარის ძე - ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი
100. უფროსი სერჟანტი მაკრახიძე გოგიტა გურამის ძე - ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი
101. კაპრალი ქარელი ოთარ პაატას ძე - ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი
102. სერჟანტი ცერცვაძე მიხეილ ქიშვარდის ძე - ცალკეული ჯავშანსატანკო ბატალიონი
103. კაპრალი შაინიძე გიორგი დავითის ძე - ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონი
104. უმცროსი სერჟანტი ასლანიძე ომარ ლეოს ძე - ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონი
105. სერჟანტი თავგორაშვილი კახაბერ გიორგის ძე - სპეციალური ოპერაციების დაჯგუფება
106. სჰპირი რაზმაძე ამირან ავთანდილის ძე - ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი
107. რეზერვისტი ხურცილავა დათა ბესიკის ძე - ეროვნული გვარდია
108. რეზერვისტი ჭითანავა გოგა ტარიელის ძე - ეროვნული გვარდია
109. რეზერვისტი კიკალეიშვილი ოთარ ბახვას ძე - ეროვნული გვარდია
110. რეზერვისტი გაბუნია შალვა ემზარის ძე - ეროვნული გვარდია
111. რეზერვისტი ბერაია გოგა რევაზის ძე - ეროვნული გვარდია
112. რეზერვისტი იოსავა მიხეილ ბესიკის ძე - ეროვნული გვარდია
113. რეზერვისტი ჭოჭუა ლევანი მძლავრის ძე - ეროვნული გვარდია
114. რეზერვისტი მორბედაძე ირაკლი ოთარის ძე - ეროვნული გვარდია
115. რეზერვისტი ბოჭოიძე ზაზა სავლეს ძე - ეროვნული გვარდია

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაკარგული სამხედრო მოსამსახურეების სახელობითი სია 2008 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობით

სულ: 54
მ.შ. ოფიცერი: 14
კაპრალ/სერჟანტი: 40

43 უცნობი სამხედრო მოსამსახურის გვამი დაკრძალულია მუხათგვერდის სასაფლაოზე

1. უფროსი ლეიტენანტი ახობაძე მერაბ ტარიელის ძე - IV ქვეითი ბრიგადა
2. კაპიტანი ჯოჯუა გიორგი თეიმურაზის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
3. კაპიტანი სერგია კობა იურის ძე - IV ქვეითი ბრიგადა
4. უმცროსი სერჟანტი ანწუხელიძე გიორგი ზაურის ძე - IV ქვეითი ბრიგადა
5. კაპრალი ბლიაძე დავით ბუხუტის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
6. კაპრალი ალავერდაშვილი რეზო გოჩას ძე- IV ქვეითი ბრიგადა
7. კაპრალი დევდარიანი ლევან ცაგოს ძე- IV ქვეითი ბრიგადა
8. კაპრალი მიდელაშვილი ლევანი ავთანდილის ძე - IV ქვეითი ბრიგადა
9. კაპრალი ქამაშიძე ტარიელ მიხეილის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
10. კაპრალი იოსებიძე ლევან შუქურის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
11. კაპრალი ხაიკაშვილი შმაგი ამირანის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
12. კაპრალი ახალკაცი რეზო გიორგის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
13. სერჟანტი ტურაშვილი ზურაბ გიორგის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
14. კაპრალი ნოზაძე შმაგი გუგულის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
15. კაპრალი გლუნჩაძე ზაზა თენგიზის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
16. კაპრალი ბაზაძე ირაკლი ომარის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
17. კაპრალი თენიეშვილი ზაურ ჯუმბერის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
18. სამედიცინო სამსახურის უმცროსი ლეიტენანტი ბეგიაშვილი ზურაბ თემურის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
19. უმცროსი სერჟანტი დანელია გოჩა გურამის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
20. კაპრალი ქათამაძე გიორგი შირინის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
21. კაპრალი ლომიძე აველიკ ვახტანგის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
22. კაპრალი ყალაბეგიშვილი ნიკა გაბრიელის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
23. უფროსი სერჟანტი თიგიშვილი გელა ვაჟას ძე- IV ქვეითი ბრიგადა
24. უფროსი ლეიტენანტი ნატროშვილი ალექსი გიორგის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
25. ლეიტენანტი მამისაშვილი რეზო გელას ძე- IV ქვეითი ბრიგადა
26. უფროსი ლეიტენანტი მელია სერგო თამაზის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
27. უფროსი ლეიტენანტი ნადარეიშვილი გიორგი გენადის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
28. კაპიტანი ყულოშვილი ერეკლე მიხეილის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
29. კაპიტანი თანდაშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
30. უმცროსი სერჟანტი მებაღიშვილი გელა მიხეილის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
31. ლეიტენანტი ბარდაველიძე ალია მერაბის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
32. კაპიტანი კირაკოზაშვილი გიორგი ოთარის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
33. კაპრალი უგრეხელიძე რომან გრიგორის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
34. კაპრალი აბრამიშვილი ზურაბ გიორგის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
35. კაპრალი გოროზია სერგეი კონსტანტინეს ძე-IV ქვეითი ბრიგადა
36. კაპრალი წიქარიშვილი გიორგი ზაზას ძე- IV ქვეითი ბრიგადა
37. კაპრალი ბეჟუაშვილი იოსებ მიხეილის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
38. უფროსი სერჟანტი ნაჭყებია ზურაბ სერგოს ძე- IV ქვეითი ბრიგადა
39. კაპრალი ჭაღალიძე თენგიზ შოთას ძე- V ქვეითი ბრიგადა
40. კაპრალი ჯიქია დავით დაზმერის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
41. კაპრალი ხუბულური კახაბერ ირაკლის ძე- IV ქვეითი ბრიგადა
42. ლეიტენანტი რომელაშვილი გიორგი მურაზის ძე- ც/ჯავშანსატანკო ბატალიონი
43. კაპრალი ბირთველიშვილი ზაზა თამაზის ძე- ც/ჯავშანსატანკო ბატალიონი
44. კაპრალი სუხიტაშვილი ოთარ დიმიტრის ძე- ც/ჯავშანსატანკო ბატალიონი
45. კაპრალი ჭონიშვილი ოლეგ სერგოს ძე- ც/ჯავშანსატანკო ბატალიონი
46. კაპრალი რომელაშვილი გელა მურაზის ძე- ც/ჯავშანსატანკო ბატალიონი
47. უმცროსი სერჟანტი სოფრომაძე უშანგი ომარის ძე- I ქვეითი ბრიგადა
48. კაპრალი ბერანძე ბადრი ოთარის ძე- I ქვეითი ბრიგადა
49. კაპიტანი ჯიშკარიანი ვეფხვია გიგუშას ძე- II ქვეითი ბრიგადა
50. უმცროსი სერჟანტი გოგნაძე ვალერი სულიკოს ძე- II ქვეითი ბრიგადა
51. კაპრალი წილოსანი ემზარ შუქრის ძე- II ქვეითი ბრიგადა
52. ავიაციის უმცროსი სერჟანტი კაკაურიძე ფელიქს მიტუშას ძე- II ქვეითი ბრიგადა
53. კაპრალი ზოიძე რომანი ლევანის ძე- II ქვეითი ბრიგადა
54. კაპრალი კოშაძე კახა აკაკის ძე- II ქვეითი ბრიგადა.

**რედაქციისგან:** ნამდვილად უპრიანი იქნება, თუ მომავალში მემორიალური გაზეთი „თანადგომა“ (რედაქტორ-გამომცემელი ანზორ ბაბუხადია), რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით გამოდის და ყოველი ნომერი ეძღვნება ერის ღირსეულ შვილთა უკვდავყოფას, ამიერიდან მკითხველ საზოგადოებას დაწვრილებით მოუთხრობს შარშანდელ 7 აგვისტოს თავსმოხვეულ ომში დაღუპულ ასთხუთმეტივე ქართველ ახალგაზრდაზე და ორმოცდათოთხმეტივე უგზოუკვლოდ დაკარგულზე. ხალხმა უნდა იცოდეს, ნუთუ მართლა გარდაუვალი იყო ამ ჯერ კიდევ გაუმრავლებელი ბიჭების ასე ნაადრევად დაღუპვა!

ხელისუფლების საყურადღებოდ

**ამ სათაურით სამიოდე წლის წინათ ქართულ პრესაში დაიბეჭდა პოლემიკური წერილი საქართველოს და, შესაბამისად, მისი განუყოფელი ნაწილის — აფხაზეთის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ.**
**ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ეს საკითხი დღეს უფრო აქტუალური და, პრაქტიკულად, მსოფლიო გეოპოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ბარაკ ობამასა და დიმიტრი მედვედევის ამასწინანდელ შეხვედრაზე მოსკოვში ერთ-ერთ ძირითად საკითხად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები განიხილებოდა. იგივე სულისკვეთებით წარიმართა აშშ ვიცე-პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის ვიზიტები კიევსა და თბილისში.**

# აფხაზთა ქვეყანა

ის, რაც რუსეთის იმპერიულ წრეებსა და სეპარატისტულ აფხაზეთს გადაწყვეტილად მიაჩნიათ, წინააღმდეგობაში მოდის ისტორიულ სინამდვილესთან და საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლურ პრინციპებთან. ეჭვს არ იწვევს ისიც, რომ მეფის რუსეთს და მის მემკვიდრე რუსეთის ფედერაციას ყოველთვის თვალი ეჭირა საქართველოზე და მის განაპირა მხარეებზე. რუსეთს არასოდეს აუღია ხელი თავის იმპერიულ ზრახვებზე, - ორთავიანი არწივიდან ნამგალი და უროს ეტაპის გავლით, ისევ ორთავიან არწივთან მიბრუნება საბჭოთა კავშირის განახლებული ჰიმნის თანმხლები მარშებით, სხვა არაფერია, თუ არა ნეობოლშევიზმის აშკარა გამოვლინება, რომლის აჩრდილი უკვე ფარავს საქართველოს მნიშვნელოვან ტერიტორიას და წალეკვით გვემუქრება. მიუხედავად ამისა, რუსეთთან ომს, რუსეთთან დიალოგი სჯობია..

ბოლო პერიოდში რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ნაწილის ოკუპაცია და კოლონიზაცია ძირითადად ორ ეტაპად მიმდინარეობდა. პირველ ეტაპზე „შესანიშნავად“ იმუშავა რაისა მაქსიმუტოვა-გორბაჩოვას იდეა-ფიქსმა — „საქართველო ქართველების გარეშე“, რასაც მრავალი ათეული ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

სიყალბის ტყვეობაში მყოფმა აფხაზმა სეპარატისტებმა ოსების, ჩეჩნების, კაზაკების, ადგილობრივი სომხების (მარშალ ბაგრამიანის მკვლელთა ბატალიონიძ, რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილების თუ კონტრაქტორების უშუალო მონაწილეობით ქართველთა ეთნოწმენდა განახორციელეს. არც რუსეთის გენერალიტეტი დარჩენილა „დაუსაქმებელი“, ხოლო ფინანსური (ასევე ტექნიკურიძ უზრუნველყოფა თავისთავზე ოფიციალურმა მოსკოვმა აიღო.

სეპარატისტ აფხაზებს მივმართავთ: დავიჯეროთ კი, რომ ასე მხურვალედ უყვარხართ მოსკოვში?

მე-19 ს. მიწურულს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი თ. გერშელმანი „ცენტრში“ აგზავნიდა პატაკებს იმის შესახებ, რომ აფხაზი „дикарь, загнонное и болезненное создание...“, რომ ახლო მომავალში აფხაზებით დასახლებულ ტერიტორიაზე შესაძლებელი გახდება „...создать чисто русскую провинцию“.

აშკარაა, ის, რაც დღემდე ვერ განუხორციელებია დერჟავულ რუსეთს, ჩვენს თვალწინ მოჰყავს სისრულეში: მიმდინარეობს აფხაზეთის, ისევე, როგორც ცხინვალის რეგიონის, სრული კოლონიზაციის პროცესი. ვიკითხოთ მაინც: სად იქნება, ძმებო აფხაზებო, თქვენი ადგილი, აფხაზეთში თუ მის ფარგლებს გარეთ? ჩვენი მხრიდან დავძენდით, რომ სწორედ ეს არის ის მეორე ეტაპი, რომელიც ამ მხარეს ახლო მომავალში სუფთა რუსულ პროვინციად აქცევს, ანუ ამჯერად აფხაზებს წაართმევენ აფხაზეთს. სამწუხაროდ, აფხაზეთში ქართველთა ეთნოწმენდის შემდეგ, თვით აფხაზთა ეთნოწმენდის ჯერიც დგება. აფხაზეთი — აფხაზების გარეშე. სწორედ ამ ვერაგულ ამოცანას ემსახურებოდა მოსკოვის პოლიტიკა, როცა ის აფხაზების თურქეთში გადასახლებაზე „ზრუნავდა“. ამ ამოცანას ემსახურება დღესაც, როცა ის მის მიერვე დამოუკიდებლად აღიარებულ აფხაზეთის დაცვაზე „ზრუნავს“.

ცხოვრება კანონზომიერად გვეკითხება: **როდემდე უნდა ვიყოთ ჩვენ, - ქართველები და აფხაზები, — დაპირისპირებისა და ეთნოშუღლის რეჟიმში? ან როგორ დავიბრუნოთ, როგორ გამოვგლიჯოთ აფხაზეთი რუსეთს ხელიდან?**

დამეთანხმებით, დიდი უმეცრება იქნებოდა ისევ ომზე და სისხლისღვრაზე გვეფიქრა. ან კიდევ, ვის უნდა ვესროლოთ ტყვია იმ წარმოსახვით ომში, სადაც ერთ მხარეზე რუსები და სეპარატისტულად განწყობილი აფხაზები დგანან, მეორე მხარეზე — ჩვენ, თქვენი ძმები ქართველები. ვის უნდა ვესროლო პირადად მე, დურიფშელ კვარაცხელიებს, ოჩამჩირელ სოლომკოებს, ფაჩულიებს, ჩქოტუებს, ტყვარჩელელ კვარჭიებს, რომლებთანაც მჭიდრო ნათესაური ურთიერთობები მაკავშირებს, თუ ჩემი ოჯახისათვის დაუვიწყარ მარშანიებს, ანჩაბაძეებსა და ემუხვარებს?..

მარტო არზაყან ემუხვარის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი და მისი ვაჟიშვილების ვლადიმერისა (შინაურობაში კუჭიკოძ და გივი ემუხვარების ურთიერთობანი ჩემს მშობლებთან, მამიდებთან, დიდედასთან და სანათესაო წრესთან მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ასეთ ომში მონაწილეობას ვერ მივიღებ.

**შეიძლება ყველამ არც კი იცოდეს, რომ არზაყან ემუხვარი იყო დემოკრატიული აფხაზეთის ჯერ ეროვნული საბჭოს, შემდეგ კი ავტონომიური მთავრობის თავმჯდომარე.** ბოლშევიკური რუსეთის აგრესიის შედეგად, რასაც აფხაზეთის გასაბჭოება მოჰყვა, იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. ის პარიზში შეუერთდა სხვა ქართველ ემიგრანტებს, გარდაიცვალა 1939 წელს, დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე ნოე ჟორდანიას გვერდით. საქართველოში მას დარჩა მეუღლე მარიამ ჩიკვაიძე ემუხვარისა და ორი ვაჟიშვილი კუჭიკო და გივი (გივი დაიბადა სოხუმში, მამის, არზაყან ემუხვარის ემიგრაციაში წასვლის ღამესძ. კუჭიკო მხეცურად მოკლეს ქუთაისში 1937 წელს, მის ოჯახს და ბიძას, ივა ემუხვარს კი არწმუნებდნენ, რომ კუჭიკო ვლადივოსტოკში იყო ეტაპირებული. გივი ემუხვარი ათიოდე წლის წინ გარდაიცვალა, მას დარჩა ერთი ქალიშვილი მარინე, რომელიც ამჟამად საზღვარგარეთ ცხოვრობს.



არზაყან ემუხვარი



დიდოსტატი კონსტანტინე

ეჭვი არ არის, ქართველები და აფხაზები ძმები თუ არა, თანამოძმეები მაინც ვართ. ეს არა მარტო ჩემი ოჯახი, ჩემი სისხლი და ხორცია გადაჯაჭვული აფხაზებთან.

სამწუხაროდ, რუსეთმა ერთი მხრივ, და საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ თავისი უგუნური ქმედებებით, მეორე მხრივ, ძმათამკვლელ ომში ჩაგვითრიეს. შედეგი სავალალოა. ილუზიაში მყოფი აფხაზი სეპარატისტები კი „გამარჯვებას“ ზეიმობენ. არადა, ძნელია უყურო შავი ძაძებით მოსილ შვილმოკლულ დედებს. რამდენი ოჯახი გაუბედურდა და რისთვის? განა იმისთვის, რომ აფხაზეთი რუსულ პროვინციად იქცეს? შურისძიებას სიკეთე არ მოაქვს, სისხლს სისხლით ვერ ჩამოიბან, დრო თავისას ითხოვს, — უნდა დადგეს დიდი შერიგების ჟამი.

ვინ უნდა შეგვარიგოს? ჩვენს შერიგებას ვერავინ შეძლებს, ვერც დასავლეთი და ვერც აღმოსავლეთი. ამ პროცესს მესამე მხარე არ ეყოლება. ეს უნდა შევძლოთ ჩვენ — ქართველებმა და აფხაზებმა.

**ქართველთა და აფხაზთა თანაცხოვრება ვაჟკაცობისა და მიმტევებლობის მრავალ მაგალითს იძლევა. დღეს ყველაზე მეტად გვჭირდება ერთიცა და მეორეც. პირველი სიტყვა თვით მეომრებმა უნდა თქვან. არც ქართველი და აფხაზი დედები გადგებიან განზე, — მათ უკეთ იციან სიცოცხლისა და მიმტევებლობის ფასი.**

**აფხაზეთი ასე გადარჩება.**

ჩვენ ერთი პრობლემის წინაშე ვდგავართ, ამიტომ უმართებულოა ვილაპარაკოთ იმაზე, თუ ვინ ვისთან უნდა მივიდეს და ძმობის ხელი გაუწოდოს. ვინც პირველი გადალახავს საკუთარ რუბიკონს, ის დაუდებს სათავეს დიდი შერიგების პროცესს. პირველ ნაბიჯებს ათასები გაიმეორებენ და დიდ შერიგებას დიდი აღორძინება მოჰყვება, — საქართველოს აღორძინება აფხაზეთთან ერთად.

მაგრამ, ვიდრე დადგებოდეს შერიგებისა და აღორძინების ჟამი, უნდა ვიცოდეთ, როგორი იქნება მომავლის საქართველო და ის სამართლებრივ-პოლიტიკური ფორმატი, რომელიც მისაღები იქნება ქართველებისადმი ჯერ კიდევ უკიდურესად მტრულად განწყობილი აფხაზი სეპარატისტებისთვისაც კი. ასეთი ფორმატის გამონახვა შესაძლებელია მხოლოდ დიდი შერიგების ფონზე, რომელიც, თავისთავად აღებული, ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. ყველასათვის ნათელი უნდა იყოს ის, რომ „საჭიროა ახალი, მოქნილი ტერიტორიულ-პოლიტიკური ორგანიზაცია“.

ყველასათვის ნათელია, რომ „საჭიროა ახალი, მოქნილი ტერიტორიულ-პოლიტიკური ორგანიზაცია“, რომლის არსი იქნება: „ვიცხოვროთ ერთად ცალ-ცალკე“.

როგორ ვიცხოვროთ ერთად და თანაც ცალ-ცალკე? ჩვენი აზრით, საქართველოსთვის სახელმწიფო მოწყობის ერთადერთ მისაღებ ფორმას უნიტარიზმი წარმოადგენს. ქართველებმა და აფხაზებმა მომავალ თაობებს არ უნდა დავუტოვოთ არც „გაყინული“ და არც „გააქტიურებული“ კონფლიქტები, არამედ შევქმნათ ერთიანი სახელმწიფო აფხაზეთის პოლიტიკური ავტონომიით და ამ ერთეულს ეწოდოს „აფხაზთა ქვეყანა“, რამაც ასახვა უნდა ჰპოვოს საქართველოს კონსტიტუციაში.

ჩვენ, ქართველები და აფხაზები, უნდა შევთანხმდეთ პრინციპულ, ფუნდამენტალურ საკითხებზე, იმ უფლებებზე, რომლითაც აღჭურვილი იქნება პოლიტიკური ავტონომია. თავიდანვე უნდა გაიმიჯნოს უფლებამოსილებანი მის სამ დონეზე, ანუ განისაზღვროს უფლებამოსილებანი, რომლებიც შეადგენენ ცალკე პოლიტიკური ავტონომიის და ცალკე ცენტრის პრეროგატივას. მესამე დონის უფლებამისილებაა ის, რაზედაც გადაწყვეტილებები ერთობლივად იქნება მიღებული. ბუნებრივია, შემოგვედავებიან: რით ჯობია პოლიტიკური ავტონომია „აფხაზთა ქვეყანა“ სეპარატისტული აფხაზეთის დღევანდელ სტატუსს, ის ხომ დამოუკიდებელი სახელმწიფოა?! უნდა ითქვას პირდაპირ და დაუფარავად: აფხაზეთის „დამოუკიდებელი“ სახელმწიფო, როგორც აღვნიშნეთ, თვით აფხაზებისათვის შეიცავს დიდ საფრთხეს. დღეს აფხაზებს, ისევე, როგორც, უბიხებს, აშკარად ემუქრებათ კავკასიის ხალხთა ეთნოსივრციდან ამოვარდნის საშიშროება.

მხოლოდ საკუთარ ფესვებთან მიბრუნება, ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და ქვევიდან მომდინარე დემოკრატია, ანუ დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრება ერთიანი სახელმწიფოს თითოეულ უჯრედში ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპების სრული დაცვით და არა ზემოდან ჩამორიგებული დემოკრატია იხსნის ქართველებსა და აფხაზებს კარსმომდგარი უბედურებისაგან.

ქართველთა და აფხაზთა შერიგების უალტერნატივო პროცესს უნდა მიეცეს დინამიური, შეუქცევადი ხასიათი. საჭიროა, რომ ფართოდ გაიშალოს სახალხო მოძრაობა და დაფუძნდეს არზაყან ემუხვარისა და კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება. კლასიკოსი მწერლის სიყრმის მეგობარი და „მთვარის მოტაცების“ მთავარი გმირის, თარაშ ემხვარის პროტოტიპი, არზაყან ემუხვარი ხომ ერთ-ერთი დიდსულოვანი და კეთილშობილი რაინდია ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიაში. ამ საზოგადოებას დიდი მომავალი აქვს, ის ქართველთა და აფხაზთა შორის ოდითგანვე ჩამოყალიბებული სისხლხორცეული სიახლოვის ხელახალი აღდგენის სიმბოლო გახდება.

**სამართლიანი იქნება არზაყან ემუხვარის ნეშტის გადმოსვენებაც და მისი დაკრძალვა მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას და ქაქუცა ჩოლოყაშვილის გვერდით.** ეს ახალ თავფურცელს გადაშლის ქართველი და აფხაზი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ძმობის ისტორიაში.

არზაყან ემუხვარი ტრაგიკული პიროვნებაა, მან საკუთარ თავზე იწვნია ბოლშევიკური რუსეთის ვერაგობა და მუხანათობა. ის იქნება პირველი აფხაზი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, რომელიც კუთვნილ ადგილს დაიკავებს საქართველოს ღირსეულ შვილთა შორის.

**ჩვენ, ქართველებმა და აფხაზებმა, არჩევანი უნდა გავაკეთოთ რუსეთის მიერ მიტაცებულ აფხაზეთსა და ერთობლივი ძალით შენარჩუნებულ აფხაზეთს შორის.**

**აქეთკენ გზა დიდ შერიგებაზე გადის!**

**ხელისუფლებამ დიდი შერიგების იდეას კონკრეტულად უნდა უპასუხოს.**

**ზაურ კვარაცხელია,**

*ავტორი დიდ მადლობას უხდის არზაყან ემუხვარის ძმისშვილს ქ-ნ ქაბუკი ემუხვარს და შოთა მარშანიას ქალიშვილს ქ-ნ ნატო მარშანიას მოწოდებული ინფორმაცი-*

ტრაგედიის წლისთავი

# ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა შარშან აგვისტოში: ვინ დამარცხდა და ვინ გაიმარჯვა?



**დღეს გავეცნოთ სტატიას „ქართულ-სამხრეთოსური კონფლიქტის მნიშვნელობა თურქეთის საგარეო პოლიტიკისათვის“. ავტორი — სავაშ გენჩი, ფატიხის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის პროფესორი (სტამბოლი, თურქეთი).**



XX საუკუნეში მსოფლიო შეურიგდა საბჭოურ გავლენას კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ დასავლეთი, განსაკუთრებით აშშ, ცდილობდა, რომ მთავარი თუ არა, ძირითადი ფაქტორი გამხდარიყო ამ თამაშში. უპირველესი ამოცანა მათთვის უთუოდ არის კონტროლის მოპოვება ხსენებული ორი რეგიონის ქვეყნების ნავთობისა და გაზის მდიდარ რესურსებზე. მეორე, აგრეთვე ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანაა ნავთობის გამოზიდვა რუსეთის ფედერაციის გვერდის ავლით და კავკასიასა და შუა აზიაზე მოსკოვის კონტროლის აღდგენის დაუშვებლობა. მისი გადაწყვეტისას საქართველო განიხილებოდა ყველაზე მისაღები, დასავლეთზე ორიენტირებული კანდიდატის რანგში ამ რეგიონებიდან ნახშირწყლების უზარმაზარი მარაგების უსაფრთხო ტრანსპორტირების ორგანიზებისას; და როცა 2005 წელს დასრულდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობა საქართველოზე გავლით ნავთობის გადასაქაჩად, ეს იქცა რუსეთის მიმართ აშშ-ის სტრატეგიის ყველაზე მნიშვნელოვან წარმატებად.

ცხადია, რომ რუსეთი, რომლის სათავეში დგას ლიდერი, ენერგორესურსებისა და მათი ტრანსპორტირების გზების მონოპოლურ მფლობელობაში ქვეყნის მომავალი ძლიერების მჭვრეტელი, ამასთანავე ურჩთა „მოსარჯულებლად“ სამხედრო ძალის გამოყენებისათვის მზადყოფნის მჩენი, გახდება მთავარი აქტორი რეგიონის ენერგეტიკული პერსპექტივების განსაზღვრაში.

ამავე დროს საქართველო ევროკავშირისთვის წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან რგოლს ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით. კასპიის რეგიონიდან სწორედ მის ტერიტორიაზე შეუძლია გავლა, რუსეთის გამოტოვებით, ნავთობსადენებსა და გაზსადენებს. სხვა სიტყვებით, საქართველოს რომ შეძლებოდა ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება, ერთადერთი სახელმწიფო აღმოჩნდებოდა, რომელსაც უნარი შესწევს რუსეთის ენერგომატარებლებზე დასავლეთის არსებითი დამოკიდებულების შესუსტებისა. ეს არ მოხერხდა, შარშანდელი აგვისტოს ამბებმა ისეთი პოლიტიკური კრიზისი გააჩინა, რომ სამხრეთ ოსეთი ადვილად შეიძლება საქართველოს ჩეჩნეთად იქცეს.

ერთადერთი შესაძლო გამოსავალი ამ კრიზისიდან ისაა, რომ რაც შეიძლება ჩქარა „გაიყინოს“ სიტუაცია. ამის გაკეთება აუცილებელია მანამდე, სანამ მოსკოვი ყოველ აფხაზსა და ოსს შეაიარაღებს და მსოფლიო თანამეგობრობისაგან უღიარებელი აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი იქცევიან საერთაშორისო ხასიათის ბრძოლის ველად. აი, რატომ ჩაება დასავლეთი რუსეთთან სერიოზულ მოლაპარაკებებში ნატოს შემდგომი გაფართოებისირგვლივ თავისი განზრახვების თაობაზე. აშშ-ს მოუწევს აღმოსავლეთ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგებისაკენ დაჟინებული სწრაფვის მოთოკვა, ხოლო საქართველოს პრეზიდენტს მ. სააკაშვილს — იმ რიტორიკისგან თავშეკავება, რომელიც ისე გაისმის, თითქოს მისი ქვეყანა უკვე ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრი იყოს...

თურქეთი ერთადერთია ნატოში შემავალ სახელმწიფოთაგან, რომელსაც საქართველოსთან აქვს საერთო საზღვარი; როგორც არ უნდა განხორციელდეს ალიანსში საქართველოს შესვლა, რასაც თავგადაკლულად და წარუმატებლად ელტვის მ. სააკაშვილი, ანკარა აღმოჩნდება მოსკოვთან შესაძლო უთანხმოებათა ცენტრში. ომის შემთხვევაში შავი ზღვის სრუტეთა მაკონტროლებელი თურქეთის პოზიცია საკვანძო იქნება; როგორც ამ სრუტეებში ამერიკული გემების ამასწინანდელმა გავლამ აჩვენა, თურქეთი ორმხრივ დაწოლაში მოჰყვება და იოლად ვერ დაიცავს ჩრდილოატლანტიკური და რუსეთის ფედერაციის ინტერესები წონასწორობას.

ქართულ-სამხრეთოსური კონფლიქტის ყველა მხარესთან თურქეთს მჭიდრო სტრატეგიული, ისტორიული, ეკონომიკური და ეთნიკური კავშირები აქვს. ეს კონფლიქტი ტრაგედიაა არა მხოლოდ მშვიდობიან მოქალაქეთათვის, ვისი ნორმალური არსებობა მართლაც დაირღვა, არამედ აგრეთვე გახდა საქართველოს მეზობელი ქვეყნების დემორალიზების მიზეზი. რუსეთი ადანაშაულებს უკრაინას, ლაპარაკობს რა გენოციდში თანამონაწილეობაზე, რამდენადაც ეს უკანასკნელი შეიარაღებას აწვდიდა ქართულ არმიას, აგრეთვე საყვედურობს თურქეთს, რომელმაც საქართველოსთან შეთანხმებას მოაწერა ხელი ერთობლივი თავდაცვის შესახებ. თურქეთი ელტვოდა რბილი პოლიტიკის გატარებას, უფრო დამოუკიდებელ საქართველოს ეხმარებოდა, როგორც სატრანსპორტო და ენერგეტიკულ კორიდორს, რუსეთის ფედერაციის კონტროლქვეშ არმყოფს. მეორეს მხრივ, მოსკოვი ფრიად მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია ანკარისა, რომელიც ყოველთვის ცდილობდა, რომ ფრთხილად ყოფილიყო და „კრემლის ვეფხისათვის“ კუდზე ფეხი არ დაედგა. ამასთან ერთად მას შეუძლია ვაშინგტონისა და ევროკავშირის იმ ძალისხმევებში თავისი წვლილის შეტანა, რომლებიც მიმართული არიან „ოლიმპიური პაუზის“ დასამკვიდრებლად, თუმცა არა ჩანს, რომ მოსკოვი მოისურვებს ამ ძალისხმევათა გათვალისწინებას.



კონფლიქტის მსვლელობაში ანკარამ პასიური პოზიცია დაიკავა, ჰუმანიტარული ხასიათის პრობლემების გამოკლებით. ეს გრძელდებოდა 11 და 12 აგვისტომდე, როცა პრემიერ-მინისტრმა რეჯეფ ტაიპ ერდოგანმა და პრეზიდენტმა აბდულა გიულმა ოფიციალური განცხადებები გააკეთეს.

ამ გამოსვლებიდან დაწყებული, თურქეთი ახორციელებდა აქტიური საგარეოპოლიტიკური მოქმედებების გეგმას, იმის სათვალავში ჩაგდებით, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი ნ. სარკოზი იმ პერიოდში ევროკავშირის თავმჯდომარე გახლდათ და მარტო თავის ქვეყანას არ წარმოადგენდა, რ.ტ. ერდოგანი იყო პირველი პრემიერ-მინისტრი, რომელმაც საქართველო მოინახულა კონფლიქტის დაწყების შემდეგ. თბილისში ოფიციალური თურქი პირის ყოფნა ანკარის საგარეო პოლიტიკის სწორი ნაბიჯი გამოდგა. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ალი ბაბაჯანი და პრემიერ-მინისტრის მთავარი მრჩეველი ახმეტ დავუდოღლუ, რაც მოწმობდა თურქეთის წუხილს კავკასიის, როგორც მისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტის პრობლემების გამო.

კავკასიაში თანამშრომლობის გამართულებელი ძირითადი პრობლემა — ეს არის ჩვენი დროის ტოლფარდი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების დეფიციტი მოცემული რეგიონის რესპუბლიკებში. ამასთან ერთობ არსებითია არა მარტო მათი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება, არამედ დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების გატარება.

უსაფრთხოების, სტაბილურობისა და განვითარების უზრუნველყოფა იმ რეგიონში, რომელიც გადაჭიმულია ხმელთაშუაზღვეთიდან ჩინეთამდე, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ჩათვლით, ხელს შეუწყობს კავკასიური და ცენტრალურაზიური ნახშირწყლების გატანას მსოფლიო ბაზრებზე. განვითარებისა და მშვიდობის შენარჩუნების რეგიონული პროგრამების შემუშავება, რუსეთის ფედერაციის მონაწილეობითა და საერთოკავკასიური სტაბილურობისა და თანამშრომლობის ბაზაზე, გახდება ფრიად სასარგებლო და სავსებით რეალური ნაბიჯი.

... თურქეთის, კავკასიასა და ცენტრალურ აზიასთან თავისი სიახლოვის გამო, უფლება არა აქვს არ ამჩნევდეს, თუ რა ხდება მოცემულ რეგიონებში. ამასთან დაკავშირებით საქართველო გახლავთ საკვანძო ფიგურა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში თურქეთის პოლიტიკაში, განსაკუთრებით თუ მხედველობაში ვიქონიებთ რთულ ურთიერთობებს თურქეთსა და სომხეთს შორის.

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებსა და რუსეთის ფედერაციასთან ერთად თურქეთმა უნდა იმოქმედოს, გამომდინარე სტაბილურობისა და თანამშრომლობის ზეამოცანიდან. ეგ კი სათქმელია, რომ დაძაბულობა რეგიონში მანამდე შენარჩუნდება, სანამ რუსეთის ფედერაცია თავის მიზნებს არ მიაღწევს. საქართველო კი ვერ შეძლებს ევროატლანტიკურ თანამეგობრობაში ინტეგრებას, თუ არ გადაჭრის თავის პრობლემებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან. შარშანდელმა ომმა აჩვენა, რომ თურქეთმა უნდა გაატაროს მშვიდობის შენარჩუნებისაკენ მიმართული პოლიტიკა რეგიონში სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციებსა და კავკასიის ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესებაზე დაყრდნობით.

გასრულდა ავტორთა ინტერნაციონალური ოთხეულისნააზრევის გადმოცემა იმ საგანზე, რომელიც ჩვენ ყველას გვაღელვებს. ამ ოთხეულიდან ორი ქართველია (იმათგან ერთი — უცხოეთში მოღვაწეძ, ერთი რუსი და ერთიც თურქი. შარშანდელი აგვისტოს „ელვისებურ“ ომსა და მანამდე თუ მას მერე წარმოქმნილ პრობლემებს ისინი სხვადასხვაგვარად განსჯიან, სხვადასხვა კუთხით აფასებენ: თავ-თავისი სამრეკლოდან რეკავენ...

საშემოდგომოდ დიპლომატი ქალბატონი ჰაიდი ტალიავინი, რომელიც ხელმძღვანელობს 2008 წლის აგვისტოში სამხედრო მოქმედებების გამოძიების ევროკავშირის სპეციალურ კომისიას, მთელ მსოფლიოს წარუდგენს შემაჯამებელ ანგარიშს... ვფიქრობთ, ჩვენი პუბლიკაციის წამკითხველი, ამ ერთგვარი „მოთელვის“ შემდეგ, უფრო გათვითცნობიერდება და მეტი ინტერესით გაეცნობა ევროკავშირის „განაჩენს“.

**მოამზადა**
**თამაზ ებანოიძე.**

**დასასრული. დასაწყისი**
**იხ. „სრ“ № 153-155.**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილი რუსეთთან ახალი ომის საფრთხეს რეალურად მიიჩნევს



**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბი-ბი-სისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ იგი მზადაა დაიცვას თავისი ქვეყანა რუსეთიდან ახალი სამხედრო შემოჭრისაგან, რომელიც მისი აზრით, უარს არ ამბობს თავის განზრახვაზე – გადააყენოს იგი.**

სამხრეთ ოსეთის გარშემო კონფლიქტიდან პირველ წლისთავამდე რამდენიმე დღით ადრე სააკაშვილმა განაცხადა, რომ არ აქვს იმედი დასავლეთის სამხედრო დახმარებისა. რომ შარშანაც ეს დახმარება აღმოჩნდა დაგვიანებული და არასაკმარისი.

ამავე დროს მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ არაფერზე არ წუხს და ახალი ომის საფრთხე მიაჩნია რეალურად.

„მე არასოდეს ვიტყვი უარს ჩემი ამოცანების შესრულებაზე, თუნდაც ისეთი უიმედოსი, როგორიცაა ქვეყნის დაცვა ნგრევისა და ეკონომიკური ტანჯვისაგან. უნდა გაგვეწია თუ არა წინააღმდეგობა? უნდა შევეწინააღმდეგებით თუ არა, თუ ისინი კვლავ დაგვესხმიან თავს? დიახ, ჩვენ გავუწევთ წინააღმდეგობას. მაგრამ ეს კოშმარული სცენარია“, – თქვა სააკაშვილმა.

ოთხშაბათს მოსკოვმა და თბილისმა გააქტიურეს თავიანთი სიტყვიერი დაპირისპირებანი. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ დასავლეთის მხრიდან საქართველოს მხარდაჭერა მცირდება და მოუწოდეს მათ არ ჩაერიონ საქმეში.

„ჩვენი უკანასკნელი პერიოდის კონტაქტები ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან ნამდვილად გვიჩვენებენ, რომ საქართველოსთან დაკავშირებით მათ სხვაგვარი პოზიცია უკავიათ. მაგრამ ეს კეთდება უკვე ზემოქმედების გარეშე, როგორც ჩვეულებრივი წესი, და საქართველოს საკითხი უკვე აღარ უშლის ხელს ჩვენს ურთიერთობათა განვითარებას“, – განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა.

მისი მოადგილე გრიგორი კარასინი მიმართავს ნატოს, რომელშიც ამ კვირაში შეიცვალა გენერალური მდივანი. „იმედი გვაქვს, რომ ნატოს ახალი ხელმძღვანელობა უფრო თავდაჭერილად მოეკიდება იმას, თუ რა ხდება ამიერკავკასიაში. უწინარეს ყოვლისა, შეამცირებს თბილისის ყალბი სიგნალების მიღებას იმის შესახებ, რომ ჩრდილოატლანტიკური ბლოკის მთელი ძალა ნებისმიერ პირობებში იქნება საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მხარეზე“. ამავე დროს მან აღიარა, რომ დასავლეთის მხარდაჭერა საქართველოს მხარისათვის „უკანასკნელ პერიოდში უკვე აღარ არის ისეთივე უტყუარი, როგორიც ადრე იყო“.

ნინო ბურჯანაძემ სკეპტიკური კომენტარები გაუკეთა საქართველოს პრეზიდენტის სააკაშვილის მრავალრიცხოვან საჯარო განცხადებებს უკანასკნელ დღეებში.

„ერთადერთი, რასაც ისინი გონივრულად აკეთებენ – ესაა პიარ-ნაბიჯები, რომლებიც კი იძლევიან სწრაფ და ერთჯერად შედეგებს, მაგრამ ვერ ჭრიან პრობლემებს სიღრმისეულად. ამიტომ მე კრიტიკულად ვეკიდები მთავრობას და მიმაჩნია, რომ ჩვენ გვჭირდება ახალი არჩევნები და ცვლილებანი ქვეყანაში“, – აღნიშნავს ბურჯანაძე.

სააკაშვილი უარს ამბობს საქართველოს ოპოზიციის მოთხოვნაზე მისი ვადამდელი გადადგომის შესახებ – მისი ამჟამინდელი, უკანასკნელი ვადა იწურება 2013 წელს. იგი აცხადებს, რომ ქართველთა უმეტესობა მას მხარს უჭერს. რომ გადადგეს, ეს ნიშნავს, რომ მოვახდინოთ კაპიტულაცია რუსეთის წინაშე.

BBC RUSSIAN.com

# თბილისს და მოსკოვს ევროპა და ისტორია განსჯის

**რუსეთის საქართველოსთან ომის პირველი წლის წინა დღეებში მოსკოვმა გააძლიერა თავისი ჯარების საბრძოლო მზადყოფნა სამხრეთ ოსეთში პროვოკაციებზე მითითებით. მეთვალყურეებს ეშინიათ სიტუაციის ახალი გამწვავებისა და კვლავ დავობენ, ვინ დაიწყო ომი და იყო თუ არა გენოციდი. საერთაშორისო კომისიამ შემაჯამებელი მოხსენების პუბლიკაცია 31 ივლისიდან გადაიტანა სექტემბრის ბოლოსათვის, იტყობინებიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.**

მისია განაცხადებს, რომ ომი საქართველომ დაიწყო, რუსეთმა კი გამოიყენა საგანგებო ძალა საპასუხოდ მაშინ სტატუს-კვო არ შეიცვლება. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მდგომარეობა შეიძლება შეცვლილიყო მხოლოდ მოვლენათა ქართული ვერსიის დადასტურების შემთხვევაში. ის, რომ განვლილი წლის განმავლობაში რესპუბლიკები აღიარა მხოლოდ ნიკარაგუამ, როგორც ეტყობა, არ აღელვებს კრემლს. როგორც პოლიტოლოგი სერგეი მარკოვი ამბობს, ეს პირიქით, ნიშნავს, რომ ისინი მიბმული იქნებიან რუსეთთან, როგორც ჩრდილოეთი კვიპროსი თურქეთთან.



როგორც „უოლ სტრიტ ჯორნელი“ იუწყება, საქართველოში ომიდან ერთი წლის შემდეგ კვლავ ჩაღდება დავები იმის შესახებ, თუ ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა კონფლიქტისათვის, რომელმაც ლამის ცივი ომის ეპოქაში დააბრუნა მსოფლიო. ხუთდღიანი ომის დროს დაიღუპა ასობით კაცი, განადგურდა ქართული არმია, ხოლო ორი სასაზღვრო ტერიტორია – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისა – დარჩა „რუსული ოკუპაციის ქვეშ“. დასავლეთს უწევს იმის გადაწყვეტა, თუ როგორი რეაქცია მოახდინოს მოსკოვის განზრახვაზე – დაამყაროს თავისი გავლენის სფერო.

თუმცა ძირითადი შეკითხვები – ვინაა დამნაშავე, როგორია კონფლიქტების მიზეზები, იყო კი გენოციდი? – უპასუხოდ დარჩა.

როგორც გამოცემა ასკვნის, თუ კოუკანასკნელი დღეების განმავლობაში სამხრეთ ოსეთის საზღვართან ხშირად გაისმის სროლების ხმა და მხარეები ერთმანეთს სდებენ ბრალს. ამავე დროს, გამოცემა აღნიშნავს, რომ ევროკავშირის მეთვალყურეთა მისია, რომელიც ახორციელებს პატრულირებას სამხრეთ ოსეთის საზღვართან საქართველოს მხრიდან, არ ადასტურებს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის შეშვებაში. სროლების ფაქტს. ამავე დროს, ევროკავშირის წარმომადგენლებს არ შეუძლიათ შეადგინონ მომხდარის სრული სურათი, ვინაიდან ცხინვალის ხელისუფლება უარს ეუბნება თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე შესვლაში.

**პრესის მიმოხილვა**

## დედამიწის ზურგზე



**ბერლუსკონი მონაწილეობას მიიღებს პუტინის მოლაპარაკებაში თურქეთის პრემიერთან „სამხრეთ ნაკადთან“ დაკავშირებით**

თავდაპირველად პუტინი და ერდოგანი ერთმანეთს შეხვდებიან პირისპირ, მოგვიანებით მათ შეუერთდებათ იტალიის პრემიერი. ბერლუსკონის მონაწილეობა მოლაპარაკებაში დაკავშირებულია ერთობლივ ენერგეტიკულ პროექტთან, პირველ რიგში გაზსადენ „სამხრეთ ნაკადთან“.

* * *

**იუშჩენკო დათანხმდა ზურაბოვის ელჩობას, მაგრამ მისგან რწმუნებულის სიგელის მიღება არ სურს**

მუშაობის დაწყებისათვის ზურაბოვმა ჯერ უნდა გადასცეს უკრაინის პრეზიდენტს რწმუნებულის სიგელები. მაგრამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, იუშჩენკო ჯერჯერობით არაა მზად მათ მისაღებად, რაც შეიძლება ახალი სკანდალის პროვოკაცია გახდეს – კიევმა ისედაც გააჭიანურა აგრემანი (ერთი სახელმწიფოს მთავრობის თანხმობის მიღება მეორე სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენელზე). მოსკოვს შეუძლია გაგზავნოს ზურაბოვი კიევში უკვე პრეზიდენტის იანვრის არჩევნების შემდეგ.



* * *

**პაკისტანში მდინარეში გადავარდნილ ავტობუსში 35 მგზავრი დაიღუპა**

ინციდენტი მოხდა ქვეყნის ჩრდილოეთში, ავტობუსი გადავარდა გზიდან მდინარე ინდში. ძლიერი დინების გამო მგზავრების უმეტესობა დაიღუპა. ზოგიერთი მონაცემით, გადარჩა მხოლოდ კონდუქტორი. წინასწარი მონაცემებით, მძღოლმა გადააჭარბა სიჩქარეს და უმტყუნა მუხრუჭებმა.

* * *

**ხიროსიმის მერმა მხარი დაუჭირა ობამას ანტიბირთვულ ინიციატივას**

იაპონიაში მიმდინარეობს მემორიალური ცერემონიები, მიძღვნილი ქალაქის ატომური დაბომბვის 64 წლისთავისადმი. პრემიერ-მინისტრის სიტყვებით, მისი ქვეყანა „რჩება მსოფლიო გაერთიანების სათავეში ბირთვული იარაღის აკრძალვასთან დაკავშირებით“. „ჩვენ ვხელმძღვანელობთ სამი საკუთარი პრინციპით: არ გვქონდეს ბირთვული იარაღი, არ ვაწარმოოთ იგი და არც შემოვიტანოთ ქვეყნის შიგნით“.

* * *

**ტონგის რაიონში გადაბრუნდა ბორანი: 50 კაცი ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად**

გემს გადაჰყავდა მგზავრები ერთი კუნძულიდან მეორეზე. სულ ბორანის ბორტზე იმყოფებოდა, წინასწარი მონაცემებით, 79 კაცი – 49 მგზავრი და ეკიპაჟის 30 წევრი. დაკარგულთა შორის ბევრია ქალი და ბავშვი.



# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა თბილისს მჭიდროდ უჭირავს ხელში

**აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ, რომელიც შედის საქართველოს შემადგენლობაში გრძელი გზა გაიარა თბილისთან ბრძოლაში თავისი სტატუსისათვის. თვითგამოცხადებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, აქ ეს პროცესი მიმდინარეობდა საკმაოდ მშვიდობიანად.**

პირველი შეხედვით აჭარის დედაქალაქ ბათუმზე ყურადღებას იპყრობს იდილიური სურათი: ფიკუსების, ფინიკის პალმებისა და ხშირი ტყეების სიუხვეს ერთვის მოალერსე შავი ზღვის სანაპირო, რომელშიც აისახება ცხელი სამხრეთის მზე, აქ ხილის გამყიდველები გთავაზობენ თავის საქონელს, შიმშილი კი შეიძლება მოიკლა პლიაჟის მრავალრიცხოვან კაფეებში. მაგრამ თუ ნავსადგურს გაშორდები, მაშინ სიწყნარესა და უზრუნველობას ცვლის სანგრევი ჩაქუჩების, ამწე კრანებისა და სამშენებლო ტექნიკის გამაყრუებელი ხმაური. სანაპირო ზოლის გასწვრივ მიმდინარეობს სასასტუმრო კომპლექსებისა და გასართობი დაწესებულებების ინტენსიური მშენებლობა.

რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელი ლევან ვარშალომიძე ამბიციურ გეგმებს აწყობს, ოცნებობს გადააქციოს აჭარა მთელი კავკასიის გავლენიან ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად. უცხოელი ინვესტორები, აღნიშნავს ვარშალომიძე, უწინარეს ყოვლისა თურქეთიდან, ცენტრალური აზიიდან და არაბული სამყაროდან, მიუხედავად შარშანდელი ომისა საქართველოში, აგრძელებენ სახსრების დაბანდებას რეგიონის განვითარებაში. რესპუბლიკის ხელმძღვანელი კმაყოფილებით საუბრობს აჭარის ტურისტული პოტენციალის შესახებ.

მაგრამ ვარშალომიძის ამბიციური გეგმები იწვევს ოპოზიციის კრიტიკას. მოწინააღმდეგეები ამბობენ, რომ იგი ცდილობს ასეთი საიმედო პროექტებით სხვა მხარეზე გადაიტანოს ყურადღება, რათა დამალოს თავისი მთავრობის შეცდომები და ისეთი პრობლემები, როგორიცაა უმუშევრობა, რომლის დონეც აქ 25 პროცენტს შეადგენს. ამას გარდა, ოპონენტები ბრალს სდებენ ვარშალომიძეს სისტემის კლანურობაში, სიტყვის თავისუფლების დარღვევაში და პირად ჩარევაში ადგილობრივი მედიების საქმიანობაში.

ლევან ვარშალომიძე ხელისუფლებას სათავეში უდგას 2004 წლიდან. მისი დასაყრდენია პარლამენტში სოლიდური უმრავლესობა. მაგრამ არა ბათუმი, არამედ თბილისი ფლობს ფაქტობრივ ხელისუფლებას რესპუბლიკაში, თანაც ეს განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციით. ძირითადი კანონის თანახმად, თბილისს შეუძლია დაშალოს აჭარის მთავრობა და პარლამენტი, აგრეთვე გააუქმოს საქართველოს კონსტიტუციის საპირისპიროდ მიღებული გადაწყვეტილებები. აჭარის მთავრობის მეთაურს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

ვარშალომიძე საქართველოს პრეზიდენტს თავის მეგობრად მიიჩნევს. ამავე დროს, მოჩვენებით პრაგმატიზმს ბათუმსა და თბილისს შორის აქვს რთული ისტორია. წარსულში საჯილდაო ქვად მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, იყო ავტონომიის სტატუსი და მასთან დაკავშირებული საკითხი სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონზე კონტროლის შესახებ შავ და კასპიის ზღვებს შორის.

1990-იან წლებში – საბჭოთა იმპერიის მზის ჩასვენების ფონზე – ბათუმში ხალხი ამხედრდა საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სულ უფრო მზარდი დიქტატორული და ანტიისლამური პოლიტიკის წინააღმდეგ: დემონსტრანტები მოითხოვდნენ ავტონომიას, თბილისმა აჭარაში მიავლინა ასლან აბაშიძე, წარმოშობით აჭარელი. მაგრამ მოსკოვის მხარდაჭერით მან ავტონომიაში დაამკვიდრა ავტოკრატული რეჟიმი, უარი თქვა თბილისისათვის გადასახადების გადახდაზე. შეუმცირა მოსახლეობას პოლიტიკური უფლებები და საქართველოს საზღვართან განალაგა თავისი შეიარაღებული ფორმირებები. „2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ დაძაბულობამ თბილისსა და ბათუმს შორის აპოგეას მიაღწია და მას შემდეგ რაც 2004 წლის მაისში ბათუმში კიდევ ერთხელ იქნა ჩახშობილი საპროტესტო აქციები, აბაშიძის ხელისუფლების აპარატმა დაიწყო სწრაფი დასუსტება – იგი იძულებული გახდა გადამდგარიყო.

როგორც 90-იანი წლების დასაწყისში, ბათუმი, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისაგან განსხვავებით, გადაურჩა სისხლის ღვრას. აქ გადამწყვეტი როლი შეასრულა რამდენიმე ფაქტორმა: ჯერ ერთი, აჭარლები ეთნიკური ქართველები არიან, თანაც აჭარა არასოდეს ისწრაფვოდა სრული დამოუკიდებლობისაკენ, მას ავტონომიის სტატუსიც აკმაყოფილებდა. მესამე ფაქტორად მიიჩნევა მოსკოვისაგან შედარებით დაშორება.

დღეს აჭარასა და საქართველოს შორის არ არსებობს საკონტროლო- გამტარი პუნქტი – ბათუმიდან თბილისამდე ტრასები თავისუფალია და მათ არემონტებენ. შეიცვალა ქვეყნის პოლიტიკური ლანდშაფტიც. იგი გახდა უფრო მრავალფეროვანი.

**დანიელ ვეხლინი**

NZZ Online

# აგვისტოს დღეების რეფლექსია



## რუსეთის აგრესიის მსხვერპლთა მემორიალი



შეჰყურებ ცას, საიდანაც მოდის სიკვდილი, ცვივა ბოსხისა და დალის ანომალიები. უსუსური, უმწეო და უძლური ხარ სტიქიის წინაშე.

აბსურდი, კოშმარი.

ეს პროექტი დაიბადა და აღიბეჭდა ქაღალდზე 8-9 აგვისტოს. ის ისეთივე სასტიკია როგორიც თავად ფაქტი.

### პროექტის შესახებ:

ის ცის ომი იყო, ასეთად დარჩება ადამიანთა მეხსიერებაში.

მემორიალი წარმოადგენს უსისტემოდ, სტიქიურად გადაკვეთილი შავი ლითონის „ფურცლების“ სივრცულ კონსტრუქციას. ფურცლები ალაგ-ალაგ უფორმოდ ამოგლეჯილია, როგორც ეს ხდება ჭურვის მოხვედრის დროს. ამოგლეჯილი „ღიობებიდან“ გადმოკიდებულ-დაკიდულია ირეალური, მისტიკური ანომალიები, ქვეწარმავლები, მტაცებლები, რომლებიც ასოცირდება სიკვდილის საფრენ აპარატებთან.

ეს მემორიალი ეძღვნება ამ ომის ყველა მსხვერპლს, განურჩევლად იმისა, თუ რომელ მხარეს იბრძოდნენ ისინი. „ვეფხისა და მოყმის“ ქვეყანაში ეს არცაა გასაკვირი;

ძირითადი ღერძის სიგრძეა 40-50 მეტრია, „ტოტებისა“ 15-20 მეტრი.

ავტორი — ვახტანგ დავითაია, გელა ჩაჩუას მონაწილეობით.

ექსკლუზივი:

# რუსეთი ვერასოდეს გაიმარჯვებს საქართველოზე!

**— ბატონო ვახტანგ განმარტებით ბარათში თქვენ აღნიშნეთ, რომ პროექტი შეიქმნა 2008 წლის 8-9 აგვისტოს, მას შემდგ ერთმა წელმა განვლო. საზოგადოებამ ამ მემორიალის შესახებ ცოტა რამ იცის.**

— იმედი მქონდა, დღეს თუ არა ხვალ, რუსეთიდან რაღაც მონანიების სიგნალი მოვიდოდა, პირიქით, ცდილობენ გაამართლონ დანაშაული და დააკანონონ „მონაპოვარი“. საიდან ასეთი სისასტიკე, პათოლოგიური სიძულვილი, ულმერთობა. ხუთმა აბსურდულმა დღემ მთლიანად წაშალა 200 წლიანი. ხუთმა დღემ საქართველო და რუსეთი, ქართველები და რუსები უზომოდ დააშორა ერთმანეთს, არა მხოლოდ მიზნებით, არამედ ადამიანურად. ორი ქვეყნის ურთიერთობაში ყოველთვის როდი იყო სიამტკბილობა, ახლაც თვალწინ მიდგას 9 აპრილი: რუსთაველზე სინდიოფალას მიერ ყელგამოღადრული ვარიებივით ტროტუარზე მიყრილი ჩვენი გოგონები და ამის შემოქმედი გენერლის ტრიუმფით მიღება საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოში... მაგრამ ომი? დღისით, მზისით, XXI საუკუნეში, თანაც ასეთი ცინიკური, სასტიკი. მოხდა ის, რომლის დავიწყება წარმოუდგენელია, რასაც დრო ვერ განკურნავს, ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვასაც ძალიან, ძალიან დიდი დრო დასჭირდება, თუ ეს საერთოდ შესაძლებელი გახდა...

**— თქვენ ახსენეთ ადამიანთა დაშორიშორება...**

— დიახ, ეს ასეა. ამ ომმა ჩვენს ხალხებს შორის დიდი ბზარი გააჩინა. ჩვენი ურთიერთობა ვერასოდეს იქნება ისეთი, როგორიც 8 აგვისტომდე იყო, მითუმეტეს ისეთი, როგორიც 9 აპრილამდე იყო. ყველაფერს აქვს საზღვარი. ჩემი თაობა, უფრო ახალგაზრდებიც, ქართველები და რუსები ღრმა პროფესიული და მეგობრული ურთიერთობებით ვიყავით ერთმანეთთან დაკავშირებულები. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ორასწლიან ისტორიაში არც ერთ ფაქტს არ მოუხდენია ადამიანების ასეთი გაუცხოება, რუსეთმა ასი ომი რომ მოგვიგოს, მაინც ვერასდროს გაიმარჯვებს საქართველოზე, ამას გამორიცხავს პოტენციალის უპრეცედენტო უპირატესობა.

სამწუხაროდ, ყველანი ბოლომდე ვერ ვაცნობიერებთ რა უბედურება მოხდა, გაიარეთ ცენტრალურ ტრასაზე გორამდე, ნახეთ ლტოლვილთა დასახლებები, ეს საოცრებაა. ამაზე უფრო თავზარდამცემი ძეგლი ომის არსისა წარმოუდგენელია. არა აქვს მნიშვნელობა, ეს ეფექტი თავისთავად გამოვიდა, როგორც შედეგი, თუ ჩვენს ხელისუფლებაში ვინმემ ეს მიზანდასახულად გაიაზრა. დანაშაულის უფრო დოკუმენტურად და სახიერად წარმოდგენა შეუძლებელია.

**— ბატონო ვახტანგ, მიგაჩნიათ, რომ ეს მემორიალი უნდა განხორციელდეს?**

— არ ვიცი. ჩემთვის მთავარია მოქალაქეობრივი ვალის აღსრულება. მე არქიტექტურის ენით გამოვხატე ჩემი სათქმელი. „ის ვინც ივიწყებს წარსულს, მისი განმეორებისთვის არის განწირული“. მე არ მსურს ამ საშინელების განმეორება.

მემორიალი თავისებური პოლიტიკური განცხადებაა. ის ეხება საერთო საკაცობრიო ტკივილს, ძალადობას, რომლითაც სავსეა ჩვენი პლანეტა.

ესაუბრა
**სპარტაკ ქოზულია**







**ნარდი**

**სამორინე „აჭარაში“ ხუთ დღეს გრძელდებოდა მონარდეთა მესამე საერთაშორისო ტურნირი, რომელიც უდროოდ დაღუპული ქართველი ჟურნალისტის, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“, საქინფორმისა და საქართველოს ტელევიზიის საკუთარი კორესპონდენტის, ხობის რაიონული გაზეთის რედაქტორის გოგი ბუკიას ხსოვნას მიეძღვნა. შეჯიბრების ორგანიზატორები იყვნენ განათლების, კულტურისა და სულიერების აღორძინების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობი“ (პრეზიდენტი გოდერძი ბუკია), ნარდის მსოფლიო ფედერაცია (პრეზიდენტი ჩივა ტაფაზოლი) და სამორინე „აჭარა“.**



# კახა ნაჭყებიამ გვასახელა

მთავარი პრიზისთვის ბრძოლაში სხვადასხვა ქვეყნის 20 უძლიერესი მონარდე ჩაება. მათ შორის იყვნენ რეიტინგით მსოფლიოს №1 მოთამაშე მატვეი ნატანზონი (ისრაელი), ევროპის 2007 წლის ჩემპიონი ვერნერ შმუკი (ავსტრია), მოყვარულებში 2009 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ირაკლი საბულუა, მონტე-კარლოში ოსტატთა ტურნირის გამარჯვებული ბორის მამფორია, ამერიკელი ჯეიკობ რაისი, მრავალი ტურნირის გამარჯვებული კახა ნაჭყებია და სხვები.

მთავარ ტურნირში დამარცხებულებმა სანუგეშოში გადაინაცვლეს. აქ ყველაზე უკეთ ბორის მამფორიამ და სომეხმა არტურ მურადიანმა იასპარეზეს, რომლებმაც ნახევარფინალში, შესაბამისად, ელი როინსა (ისრაელი) და ჯეიკობ რაისს სძლიეს. გადამწყვეტ შეხვედრაში მურადიანმა მამფორიას 11:9 აჯობა. ოსტატთა ტურნირის ლაურეატი ჯემალ ჩაჩუას და ომარ ჯანჯალიას პაექრობამ გამოავლინა. პირველი ადგილი ჯანჯალიამ დაიკავა.





დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ ნახევარფინალში კახა ნაჭყებიამ ჯეიკობ რაისს სძლია, ხოლო თამაზ გიორგობიანმა მატვეი ნატანზონთან წააგო. ფინალურ პაექრობაში თავიდან სტუმარი დაწინაურდა – 6:1, მაგრამ ქართველმა მონარდემ დროულად შეძლო ძალების მობილიზება, გაიმარჯვა 15:6 და მთავარი პრიზიც დაიმსახურა, რომელიც მას გოგი ბუკიას ვაჟმა გადასცა.

საგულისხმოა ისიც, რომ „აჭარაში“ საქართველოს და მსოფლიოს ნაკრებები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მასპინძლებმა 3:2 გაიმარჯვეს.

შეჯიბრების საზეიმო დახურვისას თბილისის გოგი ბუკიას სახელობის სპორტული ნარდის კლუბის საპატიო პრეზიდენტად ნოდარ გაგუა აირჩიეს, ხოლო ასპარეზობის სულისჩამდგმელ გოდერძი ბუკიას ნარდის მსოფლიო ფედერაციის მუდმივი წევრის სტატუსი მიენიჭა. ხობის რაიონის გამგებელმა იგორ ტყებუჩავამ ტურნირის ერთგული მონაწილე სომხეთის ნაკრები სპეციალური პრიზით დააჯილდოვა. ქართველ მონარდეთა შორის საუკეთესო შედეგისთვის კახა ნაჭყებიას დაბა ჩაქვის სასტუმრო „ოაზისის“ ორკვირიანი საგზურიც გადაეცა.

**გოდერძი ბუკია:** კმაყოფილი ვარ, რომ ეკონომიკური კრიზისისა და შარშანდელი ომის მიუხედავად, წლევანდელი ტურნირი მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარდა. საკმაოდ ძლიერმა მონარდეებმა მოიყარეს თავი. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ მთავარი პრიზი ჩვენმა თანამემამულემ მოიპოვა. კახა ნაჭყებიას ვულოცავ ამ გამარჯვებას.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა სამორინე „აჭარის“ ხელმძღვანელობას, რომელიც ტურნირის ერთ-ერთ ორგანიზატორად მოგვევლინა. ბატონმა თემურ უგულავამ და მისმა მეგობრებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ მოასპარეზეებს თავი კომფორტულად ეგრძნოთ და საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე გამოევლინათ. ნამდვილად კარგი სათამაშო ატმოსფერო სუფევდა. რადგანაც ეს ტურნირი მსოფლიო ნარდის ფედერაციის კალენდარში შევიდა, იგი ტრადიციულად გაგრძელდება და, იმედია, კვლავ „აჭარა“ უმასპინძლებს.

**ჩივა ტაფაზოლი:** ერთხელ უკვე ვთქვი და გავიმეორებ – გოდერძი ბუკიამ საქართველო აღმომაჩენინა. შესანიშნავი ქვეყანაა სანარდო ტრადიციებით. ტურნირის ინიციატორმა ძმის სახელის უკვდავყოფის შესანატრი მაგალითი მოგვცა, რაც იშვიათია მსოფლიოში. ვფიქრობ, გაისად მეტი ქვეყნისა და უფრო ძლიერი მონარდეები გვეწვევიან.

**მატვეი ნატანზონი:** მეორედ ვესტუმრე საქართველოს. ძალიან მომწონს აქაურობა. წინა წლისგან განსხვავებით, წლეულს ფინალში გავაღწიე. გაისადაც აუცილებლად გეწვევით და ვეცდები, მთავარი პრიზიც მოვიპოვო. მადლობა ყველას, ვინც ასეთ მშვენიერ შეჯიბრებას ჩაუყარა საფუძველი.

**კახა ნაჭყებია:** მოგეხსენებათ, ნატანზონი მსოფლიოში რეიტინგით პირველი მონარდეა, ყველაზე ტიტულოვანიც. ურთულესი მატჩი იყო. მიხარია, რომ მოვიგე და მთავარი პრიზი საქართველოში დავტოვე. დიდი მადლობა ბატონ გოდერძი ბუკიას. მისი მეცენატობა რომ არა, მონარდეები ამ დონის ტურნირს საქართველოში ვერ ვეღირსებოდით...

***შეჯიბრების მონაწილეები და ორგანიზატორები იმ იმედით დაშორდნენ ერთმანეთს, რომ გაისად აგვისტოში კვლავ შეიკრიბებიან სამორინე „აჭარაში“ გოგი ბუკიას IV მემორიალზე.***

**ვაჟა დანელია**

**სურათებზე: მარცხნიდან მესამე კახა ნაჭყებია; კახა ნაჭყებიას და მატვეი ნატანზონის ფინალური შეხვედრის მომენტი; ბორის მამფორია და არტურ მურადიანი.**

**ავტორის ფოტო.**

**ფეხბურთი**

# ლიგაში ჩვენც დავრჩით

**უკვე გაუწყეთ, რომ ხაიფას „მაკაბის“ მიერ ჩემპიონთა ლიგის IV საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურის მოპოვება გუნდის მთავარი მწვრთნელის ასისტენტის გიორგი დარასელიასა და, მნიშვნელოვანწილად, ლადო დვალიშვილის სახელებს უკავშირდება, რომელიც ყაზახურ „აქტობესთან“ უიღბლოდ დაწყებულ საპასუხო შეხვედრაში (0:3ძ პარტნიორებს ორი საგოლე გადაცემითა და „დუბლით“ შეეშველა (4:3ძ.**

ოთხშაბათის რაუნდში განსაკუთრებით ივაჟკაცა ტირასპოლის „შერიფმა“, რომლის კაპიტანიც ვაჟა თარხნიშვილი გახლავთ. მოლდოველებმა პრაღაში მხსნელი ბურთი „სლავიას“ კარში მსაჯის მიერ დამატებულ მე-4 წუთზე გაიტანეს – 1:1 (პირველი მატჩი – 0:0ძ და შემდეგ წრეში სტუმრად შესრულებული ზუსტი დარტყმის წყალობით ითამაშებენ.



როგორც მოსალოდნელი იყო, უპრობლემოდ მიუახლოვდა ჯგუფური ტურნირის ზღურბლს თემურ ქეცბაიას გაწვრთნილი პირეოსის „ოლიმპიაკოსი“. ბერძნული ფეხბურთის გრანდი საკუთარ მინდორზეც ისეთივე ანგარიშით გაუმასპინძლდა სლოვაკეთის „სლოვანს“, როგორც ერთი კვირის წინათ ბრატისლავაში – 2:0.

ერთადერთი „ქართული“ გუნდი, რომელსაც ამჯერად ხელი (უფრო სწორად – ფეხიძ მოეცარა, ჩვენი სამეზობლოდან არის. აზერბაიჯანული „ბაკი“ სოფიაში კარგახნის განმავლობაში ღირსეულად უმკლავდებოდა „ლევსკის“, თუმცა შესვენების შემდეგ მაინც გატყდა – 0:2 (პირველი შეხვედრა – 0:0ძ.

გაუწყებთ დანარჩენ შედეგებსაც: ბატე – „ვენტსპილსი“ 2:1 (0:1ძ, „დებრეცენი“ – „ლევადია“ 1:0 (1:0ძ, „ტიმიშოარა“ – „შახტარი“ 0:0 (2:2ძ, „პარტიზანი“ – „აპოელი“ 1:0 (0:2ძ, „მარიბორი“ – „ციურიხი“ 0:3 (3:2ძ, „სტაბეკი“ – „კოპენჰაგენი“ 0:0 (1:3ძ, „დინამო“ (მოსკოვიძ – „სელტიკი“ 0:2 (1:0ძ.

მორიგი ეტაპის კენჭისყრა შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბბინაში დღეს მოეწყობა.

**ინტერნეტიდან**

# ჯეი ლო ისვენებს

**დაბადების დღის აღსანიშნავად მოწყობილი დღესასწაულის შემდეგ ჯენიფერ ლოპესი მეუღლე მარკ ენტონისთან, რომელიც ფეხბურთის გუნდის „მაიამი დოლფინსის“ მფლობელია, და შვილებთან მაქსთან და ემასთან ერთად დასასვენებლად იტალიაში წავიდა.**

ოჯახი რომის სასტუმრო „მეზატორეში“ დასახლდა. ტყუპები ძიძის სამეურვეოდ რომ დატოვეს, ჯეი ლომ და მარკმა იახტით კუნძულ პენისულას ნაპირებს ჩამოუარეს. საზღვაო გასეირნების შემდეგ კი მეუღლეებმა რომის ღირსშესანიშნაობები დაათვალიერეს და ღამის დისკოთეკასაც ეწვივნენ.

როგორც ამბობენ, ჯენიფერ ლოპესი შრომითი მოღვაწეობის ხელახლა წამოწყებას ჯერაც არ ფიქრობს. კერძოდ, მისი ახალი ალბომის გამოშვება სექტემბრისთვისაა დაგეგმილი, ხოლო ახალი ალბომის წარდგენა 2010 წლის იანვარში გაიმართება.



აღსანიშნავია, რომ 1999 წელს ესტრადაზე პირველი გამოსვლის შემდგომ ჯენიფერ ლოპესმა ექვსი მსხვილი სასტუდიო ალბომი გამოსცა, რომელთაგან ერთი ესპანურენოვანი, დანარჩენები კი ინგლისურენოვანია.

# ა უ ქ ც ი ო ნ ი

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს**
**მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ობიექტებზე 17 ლოტად**

| № | საპრივატიზებო ობიექტის ადგილმდებარეობა | საპრივატიზებო ობიექტის დასახელება | საპრივატიზებო ობიექტის ფართი | საპრივატიზებო ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი |
|---|---|---|---|---|
| 1. ლოტი | სოფელი წეროვანი | №18-ე კორპუსში მდებარე №21-ე საცხოვრებელი ბინა | 70,18 კვ.მ. | 168 (ასსამოცდარვა) ლარი |
| 2. ლოტი | სოფელი წეროვანი | №18-ე კორპუსში მდებარე №47-ე საცხოვრებელი ბინა | 30,48 კვ.მ. | 73 (სამოცდაცამეტი) ლარი |
| 3. ლოტი | სოფელი წეროვანი | №18-ე კორპუსში მდებარე №36-ე საცხოვრებელი ბინა | 54,17 კვ.მ. | 130 (ას ოცდაათი) ლარი |
| 4. ლოტი | სოფელი წეროვანი | №18-ე კორპუსში მდებარე №18-ე საცხოვრებელი ბინა | 72,87 კვ.მ. | 174 (ასსამოცდათოთხმეტი) ლარი |
| 5. ლოტი | სოფელი წეროვანი | №18-ე კორპუსში მდებარე №30 საცხოვრებელი ბინა | 28,00 კვ.მ. | 67 (სამოცდაშვიდი) ლარი |
| 6. ლოტი | სოფელი წეროვანი | №18-ე კორპუსში მდებარე №46 საცხოვრებელი ბინა | 54,17 კვ.მ. | 130 (ასოცდაათი) ლარი |
| 7. ლოტი | სოფელი წეროვანი | №18-ე კორპუსში მდებარე №37-ე საცხოვრებელი ბინა | 54,17 კვ.მ. | 130 (ასოცდაათი) ლარი |
| 8. ლოტი | სოფელი წეროვანი | №18-ე კორპუსში მდებარე №35-ე საცხოვრებელი ბინა | 30,48 კვ.მ. | 73 (სამოცდაცამეტი) ლარი |
| 9. ლოტი | სოფელი წეროვანი | №18-ე კორპუსში მდებარე №25-ე საცხოვრებელი ბინა | 70,18 კვ.მ. | 168 (ასსამოცდარვა) ლარი |
| 10 ლოტი | სოფელი წეროვანი | №18-ე კორპუსში მდებარე №32-ე საცხოვრებელი ბინა | 30,48 კვ.მ. | 73 (სამოცდაცამეტი) ლარი |
| 11. ლოტი | სოფელი წეროვანი | №18-ე კორპუსში მდებარე №16-ე საცხოვრებელი ბინა | 54,17 კვ.მ. | 130 (ასოცდაათი) ლარი |
| 12. ლოტი | სოფელი წეროვანი | №18-ე კორპუსში მდებარე №29-ე საცხოვრებელი ბინა | 30,48 კვ.მ. | 73 (სამოცდაცამეტი) ლარი) |
| 13. ლოტი | სოფელი წეროვანი | №18-ე კორპუსში მდებარე №28-ე საცხოვრებელი ბინა | 70,18 კვ.მ. | 168 (ასსამოცდარვა) ლარი |
| 14. ლოტი | სოფელი წეროვანი | №18-ე კორპუსში მდებარე №27-ე საცხოვრებელი ბინა | 54,17 კვ.მ. | 130 (ას ოცდაათი) ლარი |
| 15 ლოტი | ქ. მცხეთა | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 1000 კვ.მ. | 41 500 (ორმოცდაერთიათას ხუთასი) ლარი |
| 16 ლოტი | სოფელი [illegible] ქანდა | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 293 კვ.მ. | 5274 (ხუთიათას ორას სამოცდათოთხმეტი) ლარი |
| 17 ლოტი | ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. 103-ის მიმდებარე ტერიტორია | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 91 კვ.მ. | 3094 (სამიათას ოთხმოცდათოთხმეტი) ლარი |

**აუქციონის ბიჯი შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის – 5% - ს**
**აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს – 30 ლარს**
**აუქციონის „ბე" შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 5 %-ს.**

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, დღის 12 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: ქ. მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ. № 73. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30-ე კალენდარული დღის 12 საათამდე. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ქონებას.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის, საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე"-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

„ბე"-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდ.კოდი 236094196 ანგ. № 33030024 სახალხო ბანკი, ბანკის კოდი 220101415

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ.№ 73.**
**ტელ: 8(27-32) 51-27-27, 899 22 65 33, 899 34-50-85.**

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**

## დღის ჭირ-ბოროტი

### საქართველომ ადრე დაგეგმილი განახორციელა

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო 2008 წლის აგვისტოში რუსეთსა და საქართველოს შორის მომხდარი ომის წლისთავთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებას ავრცელებს.**

8 აგვისტოს სამხრეთ ოსეთში მომხდარი ტრაგიკული მოვლენებიდან ერთი წელი სრულდება. იმ ღამით სააკაშვილის რეჟიმმა სამხრეთ ოსეთის მშვიდობიან მოქალაქეებზე ვერაგული და არაადამიანური თავდასხმა მოახდინა. თავდასხმა ასევე მოხდა რუს სამშვიდობოებზე, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში იქ მშვიდობას იცავდნენ, – ნათქვამია განცხადებაში და იქვე აღნიშნულია, რომ საქართველოს აგრესიის მსვლელობისას მასირებულად გამოიყენებოდა შეიარაღების ყველა სახეობა, მათ შორის კასეტური საბრძოლო მასალა, ზალპური სისტემის ცეცხლის გახსნის დანადგარები და 500-კილოგრამიანი ბომბები. ამის შედეგად დაიღუპა ასეულობით ცხინვალის მშვიდობიანი მოქალაქე და რუსი სამშვიდობოები, ასევე დიდი იყო დაჭრილთა და დასახიჩრებულთა რაოდენობა. მრავალი გარდაცვლილის იდენტიფიცირება კი დღემდე ვერ ხერხდება. ნგრევის მასშტაბები მართლაც და შემზარავი იყო.

ამავე განცხადების მიხედვით: ნგრევისა და მსხვერპლის უზარმაზარი რაოდენობა მოწმობს მხოლოდ ერთს, რომ ეს არც შემთხვევითობა და არც შეცდომა არ ყოფილა. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვქონდა ადრევე დაგეგმილ დანაშაულებრივ ქმედებებთან. ყოველივე ამას კი დამატებით ადასტურებს დოკუმენტები, მათ შორის გეგმა „სუფთა ველი".

სამწუხაროდ, უდანაშაულო ხალხის დახოცვას არ შეიძლება გამართლება მოეძებნოს და ეს პატიებულ იქნას. სამხედრო დამნაშავეებმა შესაბამისი უნდა ზღონ. თანამედროვე ევროპის ისტორიამ კი ამის არაერთი მაგალითი იცის.

საქართველოს მიერ მისივე ყოფილი ავტონომიური ოლქის წინააღმდეგ განხორციელებულმა ბარბაროსულმა აგრესიამ ასევე გამოავლინა ევროპის უსაფრთხოების საკითხში არსებული ხარვეზები და ბზარები. შეუძლებელი იქნა აგრესიის აღკვეთა და პრევენცია იმ რეგიონში, რომელიც ევროპული ინსტიტუტების დაჟინებული დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდნენ.

რუსეთის ფედერაცია კი თანამიმდევრულად იცავდა მშვიდობიანი დარეგულირების პრინციპებს ამ რეგიონში და პატიოსანი შუამავლის როლს ასრულებდა. 17 წელიწადი ჩვენ ვასრულებდით მშვიდობისმყოფელის ფუნქციებს და მზად ვიყავით დარეგულირების შემთხვევაში ყველა ხელმოწერილი შეთანხმების გარანტი გავმხდარიყავით. არადა, საქართველოს ხელისუფლებამ თავადვე ამჯობინა თავისი ტერიოტორიული მთლიანობის დახვრეტა „გრადის" ტიპის დანადგარებიდან. მეტიც ცხინვალში განხორციელებული აგრესიის პირველივე დღეებში სააკაშვილის რეჟიმმა მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა და ყველაფერში რუსეთი დაადანაშაულა. შექმნილ სიტუაციაში რუსეთის ფედერაციას სხვა გზა არ ჰქონდა გარდა იმისა, რომ ეღიარებინა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. რუსეთმა პირველმა, თავის თავში იპოვა ძალა და შეაფასა ობიექტური რეალობა, – ნათქვამია განცხადებაში და იქვე აღნიშნულია, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსი მესაზღვრეები სრულიად ლეგიტიმურ საფუძველზე იმყოფებიან.

### საქართველო დაღესტნის საზღვარს რუსები აკონტროლებენ

**სასაზღვრო პოლიციის ყოფილი უფროსი ბადრი ბიწაძე ადასტურებს, რამდენიმე დღის წინ, კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თუშეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ქართველმა მესაზღვრეებმა საზღვარი რამდენიმე კილომეტრით გადმოწიეს.**

როგორც ბიწაძე აცხადებს, საქართველო რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთსაც უკვე რუსები აკონტროლებენ.

საქართველოს შს სასაზღვრო პოლიციაში აღნიშნულ ინფორმაციას არ ადასტურებენ. სასაზღვრო პოლიციის მტკიცებით, საზღვარი, განსაკუთრებით ჩრდილოეთის მიმართულებით, მკაცრად კონტროლდება.

### რუსები თურმე შეთანხმების პირობებს არ არღვევენ

**მოსკოვში აცხადებენ, რომ რუსეთი სრულად ასრულებს პრეზიდენტების მედვედევისა და სარკოზის მიერ ხელმოწერილ გეგმას და მისი შესრულების გაგრძელებას მომავალშიც აპირებს.** ეს განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ანდრეი ნესტერენკომ გააკეთა.

ნესტერენკომ ასევე აღნიშნა, რომ აგვისტოს მოვლენებიდან შესაბამისი გაკვეთილის მიღების შემთხვევაში საერთაშორისო საზოგადოებას ძალუძს ამიერკავკასიაში კონსტრუქციული ორმხრივი ურთიერთობების დამყარება.

ჯი-ეიჩ-ენი



### ლიცენზირებული ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას

**2009-2010 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:**

**ბაკალავრიატი:** 1. სამართალმცოდნეობა; 2. ჟურნალისტიკა; 3. ფსიქოლოგია; 4. სტომატოლოგია; 5. საფინანსო-ეკონომიკური (5 სპეციალობაძ; 6. ტურიზმი; 7. უცხო ენები; 8. კომპიუტერული პროგრამირება; 9. დაწყებითი განათლება; 10. ტანსაცმლის მოდელირება და კონსტრუირება.

**მაგისტრატურა:** 1. პედაგოგიკა; 2. ბიზნესი; 3. სამართალი.

**სახელობო განათლება ცხრა კლას, საშუალო და უმაღლეს კურსდამთავრებულთათვის:**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიები; 2. ბუღალტერ-მოანგარიშე; 3. მძღოლი; 4. პროთეზისტი; 5. გიდი; 6. სასტუმროს საქმის სპეციალისტი; 7. მდივან-რეფერენტი.

**საჭირო საბუთები:** ატესტატი (დედანიძ, პირადობის მოწმობის ასლი, დაბადების მოწმობის ასლი, მიწერის მოწმობის ასლი, 4 ფოტოსურათი.

**რექტორი, პროფესორი ამირან მექვაბიშვილი**

**თბილისი, მ. კოსტავას №47. ტელ: 93-66-03; 36-28-34; (8(99ძ18-89-24; 99-07-24; 98-86-82; 99-96-26; 35-54-30; 36-15-15.**

## ვულოცავთ!

ძმაო ვაჟა,

მართლაცდა ძვირფასი მეგობარი გვყავხარ მთელ ჩვენს საძმაკაცოს და გვიხარია, რომ მთელი შვიდი ათეული წელიწადი საოცრად ლამაზად და კაცურად გამოიარე. ალმშენებლობა ყოველთვის იყო და არის შენი ცხოვრების მრწამსი. საქვეყნო საქმესთან ერთად არასოდეს არ გავიწყდებოდა არც შენი ოჯახის, შენი მკვიდრი ბუდის შენებაც, რადგან იცი, რომ ძლიერ და ზნეობრივ ქვეყანას ზნეობრივად ძლიერი ოჯახები ქმნიან.

ნამდვილად სასიქადულოდ მიგვაჩნია შენს მეგობრებს, რომ ვაჟა ნადირაშვილის სახელს პატივისცემით წარმოთქვამენ



დღეს საქართველოში და ყველას ეამაყები როგორც გამოჩენილი ინჟინერ-მშენებელი.

შენმა საიუბილეო თარიღმა, ძმაო ვაჟა, მგონი, გამაპოეტა კიდეც. აი, ორი ცხელ-ცხელი სტროფი:

*შენ აშენებდი ამერს და იმერს,*
*შენ ამ ცხოვრებას ქარგავდი ოდეს,*
*მაგრამ მთავარი ის არის იქნებ,*
*რომ სიყვარული აკვნიდან მოგდევს.*

*რა ვქნათ, ჟამი თუ თვალდათვალ გარბის,*
*ასე ჰქონია ცხოვრებას წესად,*
*მაგრამ მთავარი ის არის მაინც,*
*კაცურ კაცად რომ დადიხარ დღესაც!*

კიდევ ერთხელ გილოცავ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და გისურვებ კიდევ მრავალ წელიწადს ჯანმრთელ სიცოცხლეს.

საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საენციკლოპედიო-საგამომცემლო ფონდის სახელით შენი
**ალეკო კაკულია**

## დაიჯესტი

### EHOMO-ს საფრთხეები



**უახლოეს 10-20 წელიწადში პერსონალურ კომპიუტერთან შეერთებული მობილური ტელეფონის სტატუსი ჩვენი თანაშემწის, მძივნის, ექიმის დონემდე მოიმატებს.** იგი ერთგვარ ცხვრებისეულ მოთხოვნილებად გადაიქცევა, რომლის მეშვეობით ხელმისაწვდომი გახდება კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნა. ამასთან, გაიზრდება მთლიანად კაცობრიობით და ცალკეული პიროვნებით მანიპულირების შესაძლებლობა, საყოველთაო თვალყურის დევნების განხორციელება, ვინაიდან „ელექტრონული ჰომოს (EHOMOძ ტელეფონი მუდამ ტოტალურ ქსელში იქნება ჩართული.

უფრო მეტიც: სურვილის არსებობის შემთხვევაში (ღმერთმა დაიფაროს, და, შესაძლოა, მისი ნების წინააღმდეგაც კი!ძ ადამიანის პიროვნების – ყველა მისი აზრითა და მეხსიერებით! – კომპიუტერში... კოპირება იქნება შესაძლებელი.

### „ტვინის რეზერვების" ხარჯზე

**სიცოცხლის ხანგრძლივობა... თავის ტვინის ზომაზეა დამოკიდებული – ეს დასკვნა ამერიკელმა მკვლევარებმა გამოიტანეს, რომლებმაც ექსპერიმენტის დროს პრიმატების 28 სახეობის თავის ტვინის პერიმეტრები შეისწავლეს.** მათი აზრით, დიდი თავის ტვინის მქონე ცხოველები უფრო დიდხანს ცხოვრობენ, რადგან სქესობრივად მომწიფება და შთამომავლობის დატოვება მოასწრონ.



მეცნიერები პრიმატებს ველურ ბუნებაში იკვლევდნენ, რადგან მიაჩნიათ, რომ დატყვევებულები ისინი, ჩვეულებრივ, უფრო სწრაფად იზრდებიან, რადგან მრავალ ხიფათსა და საკვების გამუდმებით ძებნას აცილებულები არიან. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ სწორედ დამატებითი „ტვინის რეზერვების" ხარჯზე ცხოველები საკვებსაც უფრო წარმატებით მოიპოვებენ და თავსაც უკეთ იცავენ.

### „სამი მუშკეტერის" ეფექტი

**სოლიდურ სამეცნიერო ჟურნალ „ბიოლოგიურ ბიულეტენში" ამერიკელმა მკვლევარმა ქალმა ლიზბეტ ფრენსისმა აქტინიების**



**ცხოვრებისადმი მიძღვნილი სტატია გამოაქვეყნა. სტატიის ბოლოს, ავტორის მიერ გამოყენებული სპეციალისტების სამეცნიერო ნაშრომთა ჩამონათვალში, რომლებიც აქტინიების შესახებ წერდნენ, მოხსენიებულია აგრეთვე... ალექსანდრე დიუმას საქვეყნოდ ცნობილი რომანი „სამი მუშკეტერი".**

მკვლევარმა აქტინიებში აღმოაჩინა მოვლენა, რომელსაც „სამი მუშკეტერის" სინდრომი" უწოდა და ისე, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია მიღებული, ამ ეფექტის პირველად აღმწერი ავტორის სახელი ახსენა: **ერთმანეთის მოკავშირე ორგანიზმები, რომლებიც მტერს ერთიანი ძალით ებრძვიან, დიდ ძალას ზოგავენ.** ამ შემთხვევაში აქტინიების მტრები იმავე ჯიშის



ისეთივე აქტინიები არიან, რომლებიც წყალქვეშა კლდეზე მყუდრო ადგილის დაპატრონებას ცდილობენ, ხოლო მკვრივად შეკრული ჯგუფები თავის სამკვიდროს ძალდაუზოგავად იცავენ.

### ყოჩაღ, ნორვეგიელებო



**ყველას რატომღაც მიგვაჩნია, რომ რაც უფრო მეტი დასახელების წამალია აფთიაქებში, მით უკეთესი. მაგრამ, განა მართლა ასეა?**

მაგალითად, ნორვეგიის კანონმდებლობა ზღუდავს ქვეყანაში გასაყიდი წამლების ნაირგვარობას. ნებადართულია მხოლოდ იმ სამკურნალო პრეპარატების წარმოება და იმპორტი, რომლებიც ნამდვილად აუცილებელია ავადმყოფთა სამკურნალოდ, ხოლო ახალი წამლის ბაზარზე შეტანა მხოლოდ იმ შემთხვევაშია დაშვებული, თუკი დანამდვილებითაა დამტკიცებული მისი უპირატესობა უკვე არსებულ სამკურნალო საშუალებებზე. ამის შედეგად, ნორვეგიის აფთიაქებში მხოლოდ 1900 დასახელების მედიკამენტი იყიდება, რომლებიც სხვადასხვა ფორმისა და ნარევების სახით 800 ქიმიურ შენაერთს შეიცავს.

შედარებისთვის: **ინგლისში 18 ათასი წამალი იყიდება, რომელთა საფუძველს 3 ათასი ქიმიური შენაერთი წარმოადგენს. არადა ნორვეგიელთა სიცოცხლის ხანგრძლივობა 1,5-2,5 წლით მეტია, ვიდრე ინგლისელებისა.**

ამ შემთხვევაში, ცხადია, პირდაპირი დამოკიდებულება არ არსებობს, თუმცა ცხოვრების ხანგრძლივობით ინგლისელებსაც გვარიანად ჩამოვრჩებით.

### მსოფლიოში ერთადერთი

**ძნელი ჩამოსათვლელია ბაზრების ყველა სახეობა, რომელიც დედამიწაზე არსებობს. მაგრამ, როგორც ჩანს, მათ შორის ერთადერთი და განუმეორებელია მხოლოდ ტოკიოს „ხოჭოების ბაზარი". თუმცა იქ მარტო ხოჭოებს კი არა, სხვა მწერებსაც ყიდიან – მატლებს, პეპლებს, მუხლუხოებს.** მყიდველები აქ სრულიად იაპონიის მხარეებიდან ჩამოდიან, ვინაიდან მსოფლიოში მეორე მსგავსი ადგილი არ არის, სადაც მოყვარულ ენტომოლოგებს იშვიათი მწერების შეძენა შეუძლიათ, რომელთა ფასი, ზოგჯერ, მილიონობით იენს აღწევს. მაგრამ ყველაზე სარფიანი დრო მწერებით მოვაჭრეებისთვის სასწავლო წლის დაწყების წინა პერიოდია, როცა ბაზარს ათასობით სკოლის მოსწავლე მიაშურებს ხოლმე. საქმე ის არის, რომ არდადეგების დადგომამდე მოსწავლეებს მწერების კოლექციის შეგროვებას ავალებენ, ხოლო ბევრ მათგანს, მით უმეტეს მათ, ვინც ქალაქში რჩება, გამოსავალი მხოლოდ ერთი აქვს – კოლექციები ბაზარში „შეაგროვონ".



უცხოური პრესის მიხედვით

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

განაჩენის გამოცხადების შემდეგ მსჯავრდებული აცხადებს:
– რა ხდება, რა უბუდურებაა, ამ ქვეყანაში მართლმსაჯულება არსებობს თუ არა?! აბა, ფულს რაში ვიხდი?

* * *

დეკანს ეკითხებიან:
– რამდენი სტუდენტი სწავლობს თქვენს ფაკულტეტზე?
– დაახლოებით ერთი მესამედი.

* * *

გაზეთი ახლადდაქორწინებულთათვის:
„მწარე სიმართლე".

* * *

ორი ნასვამი ძმაკაცი საუბრობს:
– რომელი საათია იცი?
– ვიცი.
– დიდი მადლობა.

* * *

ახალგაზრდა ქალბატონი ეკითხება მეუღლეს:



– სადილი გემრიელი იყო?
– მარილი გადასარევი იყო. წვნიანი ოდნავ მეტი რომ ყოფილიყო... აღარაფერი აჯობებდა...

* * *

– ექიმო, გადავრჩები, კიდევ ცოტას თუ ვიცოცხლებ?
– კი იცოცხლებ, ჩემო კარგო, ოღონდ ძალიან ცუდად!

* * *

– პური ახალი რატომ არ არის?
– აბა, უფრო მაგრად მოუჭირე ხელი...

* * *

ლუდით სულს ვერ მოატყუებ.

* * *

სიდედრი გამოცდა კი არა ჩასაჭრელი საკითხია.

* * *

რა საჭიროა ძაღლის ყოლა და თავად ყეფა?

* * *

მე კი ტერორიზმისა სულაც არ მეშინია, ათი წელია ცოლი მყავს.

* * *

– შენი მამა, დედიკო, თოვლის პაპასავითაა: მობრძანდა საახალწლოდ, მომიტანა „საჩუქარი" და მას შემდეგ მისთვის თვალი აღარ მომიკრავს.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

პასუხისმგებელი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
99-62-77;
899 36-00-35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი 899 56-81-86
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.